| ნინო ყუფარაძე — თანამედროვე ფარმაცევტული ბაზრის თავისებურებანი და პაციენტის უფლებების დაცვა (ეთიკური ასპექტები)..... | 161 |
| დალი ჩიკვილაძე — ნიკო ნიკოლაძის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან..... | 165 |
| დიანა ჭანკოტაძე — როგორ სწავლობენ და ასწავლიან საფრანგეთში პროფესიას „ჟურნალისტიკა“ | 169 |

CONTENTS

SCIENCES OF LAW

| | |
|---|----|
| Tamar Alphaidze - Mass Media and State Government..... | 9 |
| Venedi Benidze - Particular Norms of Georgia's Criminal Law Process Code are Irrelevant with Georgian Constitution | 14 |
| Lobzhanidze – Legal Result of “Cold War”..... | 18 |
| Davit Sukhitashvili, Tea Sukhitashvili - Categories and Principles of Civil Liability | 23 |
| Shengeli Pitskhelauri - Basic Concepts of Criminological Methodology | 32 |
| Sergo Chelidze, Nugzar Tevdoradze - ‘Polygraph’ Application Issues in Criminal Justice | 35 |

SCIENCE OF ECONOMICS

| | |
|---|-----|
| Besik Aladashvili - Economy during The wars; Historical experience and Modern Reality | 40 |
| Nodar bagrationi - functioning of the foreign exchange market and some questions of currency convertibility | 44 |
| David Vekua - Possible Perspectives of Small Business Development in Georgia..... | 49 |
| Amiran /Simon/ Tavartkiladze – Association Agreement on Taxation..... | 53 |
| Sofiko Tevdoradze - Internacional Business in Global Space | 58 |
| Lia Totladze - Leading, Councident and lagged Indicators..... | 62 |
| Mamuka Toria - Labor Remuneration Differentiation Problems in Georgia | 66 |
| David Kbiladze - Historical Aspects of the Development of Statistics as a Science and Contemporanety | 70 |
| Lela Kochlamazashvili, Temur Kandashvili - Perspectives of Georgia in the market of European Union..... | 73 |
| Manana Maridashvili - On Interconnection of Pharmaceutical Business Profitability and Marketing..... | 77 |
| Manana Maridashvili - Pharmaceutical Product Price Formation and Regulation Trends in Georgia and CIS Countries..... | 84 |
| Taliko Zhvania, Ana Kobiashvili – Certain Aspects of Electronic Teaching..... | 88 |
| George Sakhokia - Auditing Control and Efficiency Audit Perspectives | 93 |
| Maia Seturi - Some aspects of brand creation..... | 100 |
| Charlz Morgan Stromme - Eu Sanctions Policies | 104 |
| Lasha Tabatadze - Georgian Agrarian Sector - Reality and Real Prospective | 109 |
| Lali Chagelishvili – Agladze - The Liberal Foreign Trade Politic's Paradigms of Georgia..... | 113 |

HUMANITY AND SOCIAL SCIENCES

| | |
|---|-----|
| Mildred Kalandarishvili - Love suppressed in the name of God | 117 |
| Sopho Kvantaliani - Digital Technologies as a transforming factor of photojournalism..... | 121 |
| Laura Kutubidze-Zubashvili, Vaja Zubashvili - Unfluence of advertising of lifestyle and Value..... | 125 |
| Mayvala /Baia/ Koguashvili - The expatriates: European school of American Modernism..... | 129 |
| Elza Iomidze - Communication as the Field of personal Knowledge | 134 |
| Khatuna Memanishvili - Style of “Notes of a Journey” | 141 |
| Tatia Mjavanadze - Challenges to New Media | 150 |
| Kate Nizharadze - Parabasis by Arisrofanos as an instrument for public relation | 153 |
| Tamar Pantsulaia - Business Etical Problems..... | 156 |
| Nino Kuparadze - The Main Peculiarities of Modern Pharmaceutial Market and Defence of Human Rights | 161 |
| Dali Chikviladze - From Niko Nikoladze's Epistolary Heritage..... | 165 |
| Diana Chankotadze - The ways of Teaching the Profession of Journalism in France..... | 169 |

სამართლის მეცნიერებები

თამარ ალფაიძე

მასმედია და სახელმწიფო ხელისუფლება

მეცნიერული და პრაქტიკული თვალსაზრისით გარკვეულ ინტერესს ინვესს საკითხი იმის შესახებ, თუ რატომ ასოცირდება მასმედია „მეოთხე ხელისუფლებასთან“.

თანამედროვე, სწრაფად განვითარებად საზოგადოებაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებების როლი თითქმის შეუფასებელია. მასმედიის განვითარების დინამიკურმა პროცესმა არნახულ მასშტაბებს მიაღწია. მედია სულ უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს თითოეული ადამიანისა და მთლიანად საზოგადოების განვითარებაში, აქტიურ გავლენას ახდენს სოციალურ პროცესებზე და სახელმწიფო სისტემის დემოკრატიზაციაზე. მედიის მიზანდასახულმა განვითარებამ ახალი უნიკალური შესაძლებლობები შექმნა ინფორმაციული საზოგადოების ფორმირების, ადამიანთა განათლებისა და ჯანსაღი საზოგადოების ჩამოყალიბების სფეროში. მძლავრად მოქმედმა მედია-ინსტიტუტებმა თავის გავლენას დაუმორჩილეს ისტორიაში ადამიანთა უპრეცედენტო რიცხვი. დღითი დღე იზრდება მასმედიის ეფექტურობა, მისი ზემოქმედება თითოეულ ადამიანზე და მთლიანად სოციუმზე.

ეს რეალობაა. მართებულად მიუთითებს რიჩარდ ჰარისი, რომ მედია „ეს არის არა მარტო „მაგიური ფანჯარა“, რომლის მეშვეობითაც ჩვენ ვუყურებთ სამყაროს, არამედ „კარები“, რომლის მეშვეობითაც იდეები აღწევს ჩვენს აზროვნებაში“.¹

იმ განსაკუთრებული როლის გამო, რომელიც მასმედიას აქვს სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებში, მეცნიერ-მკვლევართა ერთი ნაწილი (უ.როსტოუ, დ.ბელი, გ.ბეგერსტამი) მიიჩნევს, რომ მასმედია არის „მეოთხე ხელისუფლება“, რომელიც გავლენას ახდენს ხელისუფლების ყველა შტოზე.²

რას ეფუძნება ასეთი მოსაზრება, რატომ არის მასმედია სახელმწიფო ხელისუფლება, თანაც „მეოთხე“ და არა „პირველი, მეორე ან მესამე“ ?

ტერმინი „ხელისუფლება“ მრავალაზრობრივი მნიშვნელობისაა. იგი მიეკუთვნება პოლიტიკური თეორიის ფუძემდებლურ ცნებათა რიცხვს და ასახავს მსოფლიოს ნებისმიერი სახელმწიფოს ფუნქციონირების არსს. ფართო გაგებით, ხელისუფლება გულისხმობს მოვლენათა განვითარებაზე ზემოქმედების უნარს და საშუალებას. ეს ზემოქმედება შეიძლება იყოს დადებითი, პოზიტიური ან უარყოფითი, ნეგატიური. როგორც რთული, მრავალმხრივი მოვლენა „ხელისუფლება“ განსხვავებულ ორგანიზაციულ ფორმებსა და მეთოდებში, ურთიერთობათა სისტემასა და მიზნებში ვლინდება. ამიტომ პოლიტიკურ და იურიდიულ ლიტერატურაში არ არის ამ ტერმინის ერთგვაროვანი გაგება. საზოგადოებაში არსებობს პირადი და სოციალური ხელისუფლების სხვადასხვა სახე.

საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპზე, კერძოდ სახელმწიფოდ ორგანიზებულ საზოგადოებაში სოციალური ხელისუფლების სახესხვაობად ჩამოყალიბდა სახელმწიფო ხელისუფლება, რომელშიც იგულისხმება პოლიტიკური ბატონობა და სახელმწიფო ორგანოთა სისტემა, რომელთა მეშვეობით ხორციელდება საზოგადოებისადმი სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობა. სახელმწიფო ხელისუფლება განსახიერებულია სახელმწიფო-სამართლებრივი ინსტიტუტებში, ემყარება სახელმწიფო ნებას და კონცენტრირებულია ძალას, უნარი აქვს განახორციელოს იძულებითი ღონისძიებანი მიღებულ გადაწყვეტილებათა აღსასრულებლად. იძულება სახელმწიფო ხელისუფლებისათვის დამახასიათებელი აბსტრაქტული და ტიპური თვისებაა, რომელსაც ლეგიტიმურ ხასიათს აძლევს ქვეყანაში მოქმედი სამართლებრივი სისტემა.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო ხელისუფლება წმინდა პოლიტიკური მოვლენაა, სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ნიშანია, განსაზღვრავს სახელმწიფოს თავისებურებას, მის მექანიზმს, დემოკრატიულობის ხარისხს.

სახელმწიფო ხელისუფლება, რომელიც მხოლოდ ძალადობას ემყარება წარმოშობს საზოგადოებაში მზარდ წინააღმდეგობას. პირიქით, დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო ხელისუფლება უდიდესი შემოქმედებითი ძალაა, რომელიც დარწმუნების, სტიმულირებისა და იძულების მეთოდებით უზრუნველყოფს გადაჭრას სოციალური წინააღმდეგობანი, დაუქვემდებაროს ადამიანები ერთიან სახელმწიფო ნებას. დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო ხელისუფლება მისი დიდი სოციალური მნიშვნელობიდან გამომდინარე უნდა უზრუნველყოფდეს საზოგადოების ჰარმონიულ განვითარებას და არ

¹ Ричард Харрис, «Психология Массовых Коммуникаций» М. 2002 г. с. 19

² Доль Р. Введение в теорию демократии, М. 1992



უნდა იქცეს სოციალური პროგრესის მუხრუჭად.

საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მმართველობის ფუნქციას ხელისუფლება ახორციელებს სხვა სოციალური ინსტიტუტებისაგან დამოუკიდებლად, რამდენადაც იგი უმაღლესია საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში.

სახელმწიფო ხელისუფლება ერთიანი და განუყოფელია, ამასთანავე ფუნქციონალური დანიშნულების შესაბამისად დანაწილებულია სამ განშტოებად: საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად.

ერთიანი სახელმწიფო ხელისუფლების სამ განშტოებად დაყოფის იდეა ჯერ კიდევ ანტიკურ პერიოდში წარმოიშვა და მომდევნო საუკუნეებში განვითარდა. იგი ბურჟუაზიული კონსტიტუციონალიზმის ერთ-ერთ ძირითად პრინციპად იქცა. თითქმის დასრულებული სახით ხელისუფლების დანაწილების დოქტრინა ჩამოყალიბდა XVII-XVIII საუკუნეების დიდი განმანათლებლების ჯონ ლოკისა და შარლ ლუი მონტესკიეს ნაწარმოებებში.¹

ხელისუფლების დანაწილების მოძღვრების ჩამოყალიბებაში განსაკუთრებულია ფრანგი ფილოსოფოს-განმანათლებლის შარლ-ლუი მონტესკიეს შემოქმედება. მონტესკიეს მიხედვით, პოლიტიკურ ხელისუფლებას განაპირობებს მხოლოდ ხელისუფლების გონივრული დანაწილება – საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად. მართალია, მონტესკიე ხელისუფლების ერთმანეთისაგან გამიჯვნაზე ამახვილებს ყურადღებას, მაგრამ იმავდროულად მიაჩნია, რომ სამივე მათგანი აღჭურვილი უნდა იყოს ურთიერთკონტროლისა და ურთიერთობის შესაძლებლობით.

ხელისუფლების სისტემის თეორიულად სასურველი მდგომარეობა ხელისუფლების ჰარმონიაა, სახელმწიფო ხელისუფლების გონივრული ფლობაა, რაც ხელისუფლების რაციონალურმა დანაწილებამ უნდა უზრუნველყოს. ამ პრინციპებზე შექმნილი ორიგინალური მოდელი პირველად მე-XVIII საუკუნეში გაჩნდა,² ხოლო კლასიკური სახე ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციაში, სასამართლო პრაქტიკასა და ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში შეიძინა.

სახელმწიფო ხელისუფლების თითოეული განშტოება თვალყურს უნდა ადევნებდეს როგორ იცავს დანარჩენი ორი ადამიანის უფლებებს და სახელმწიფო ორგანოების ფუნქციონირებას, რაც აუცილებელია პოლიტიკური თავისუფლებისა და ხელისუფლების ბოროტად გამოყენების ასაცილებლად.

„სხვაგვარად აზრი ეკარგება ისეთი სოციალური ინსტიტუტის შენარჩუნებას, როგორც სახელმწიფოა. საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება თავიანთი უამრავი ატრიბუტით — კონკურენცია, ურთიერთკონტროლი და ურთიერთმეზღუდვა საჭიროა იმისთვის, რომ არ მოხდეს მორიგება ერის ინტერესების საზიანოდ“.³

სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების კონცეფცია განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციაში, რომელიც ადგენს, რომ „საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი... სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით“ (მუხლი 5)

სახელმწიფო ხელისუფლების სამართლებრივი დანაწილება დამოუკიდებელ საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად სახელმწიფოებრიობის სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარეობს. სწორედ ხელისუფლების ეს სამი განშტოება ამონურავენ სახელმწიფოს დანიშნულებას – უზრუნველყოს თავისუფლების, უშიშროების, საკუთრების საჯარო-სახელისუფლო დაცვა.

ხელისუფლების დანაწილების დოქტრინის თანახმად საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება უნდა მოქმედებდნენ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში და უფლება არა აქვთ ჩაერიონ ერთმანეთის საქმიანობაში. ამასთანავე ამ ორგანოთა კომპეტენცია ისეთია, რომ მათ არ შეუძლიათ იმოქმედონ იზოლირებულად. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება მისი სამივე შტოს ერთობლიობით: საკანონმდებლო ხელისუფლება ვერ მოიტანს სასურველ შედეგს აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების განხორციელების გარეშე. მართლმსაჯულების განხორციელება შეუძლებელია საკანონმდებლო ხელისუფლების გარეშე.

ხელისუფლების დანაწილების პრინციპის დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს 1789 წლის ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია, რომელიც აღიარებს, რომ „საზოგადოებას, სადაც არ არის უზრუნველყოფილი უფლებათა გარანტია და არ არის ხელისუფლების დანაწილება, არა აქვს კონსტიტუცია“.

სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების პრინციპის ზოგადი დახასიათებაც კი ნათელყოფს მის სამართლებრივ ბუნებას და არსს. ხელისუფლების დანაწილების მეცნიერულად დასაბუთებულ და პრაქტიკით განმტკიცებულ დოქტრინაში ერთგვარი დისონანსი შეიტანა „მეოთხე ხელისუფლების“ კონცეფციამ, რომელმაც უგულვებელყო ხელისუფლების დანაწილების კლასიკური მოდელი. აღნიშნული კონცეფცია ცდილობს დაასაბუთოს, რომ საზოგადოების განვითარების კვალდაკვალ წარმოიშვა და დამკვიდრდა „მეოთხე ხელისუფლება“, რომელსაც ხელისუფლების სამ განშტოებასთან ერთად აქვს არსებობის რეალური საფუძველი. ეს არის ბეჭდვითი და ელექტრონული მედია.

მედის მიჩნევა „მეოთხე ხელისუფლებად“ გულისხმობს მის გათანაბრებას სახელმწიფო ხელისუფლების სამ განშტოებასთან. ეს რეალობა თუ შეცდომა?

¹ დიდ ბრიტანეთში მეფისადმი ტრადიციულად დიდი პატივის გამო სახელმწიფო განშტოებასაც თავისებური სახელწოდებები აქვს: King in Brench (მეფე სასამართლოში, სასამართლო ხელისუფლება), King in Courech (მეფე საბჭოში — აღმასრულებელი ხელისუფლება), King in Parliament (მეფე პარლამენტში — საკანონმდებლო ხელისუფლება)

² S.l.monteskie, kanonTa goni (frangulad `De L'esprit des lios`), Tb. 1994, gv. 182

³ ს.ჯორბენაძე, რ.კნიპერი, ლ.ჭანტურია - სამართლის რეფორმა საქართველოში, თბ. 1994, გვ.32



ჩემი აზრით ეს შეცდომაა, რადგან ასეთ კონცეფციას არ აქვს არც თეორიული და არც პრაქტიკული საფუძველი. მედია არ არის და არც შეიძლება იყოს „მეოთხე ხელისუფლება“, სახელმწიფო ხელისუფლების მეოთხე განმტოება.

მართალია, მედია ყოველთვის გამოიყენებოდა და გამოიყენება პოლიტიკური ხელისუფლების მოსაპოვებლად და შესანარჩუნებლად, მაგრამ მას არ გააჩნია არცერთი თვისება, რაც დამახასიათებელია სახელმწიფო ხელისუფლებისათვის. სადავო არ არის ის ფაქტი, რომ მასმედია ახორციელებს სახელმწიფო და საზოგადოებრივ პროცესებზე სამოქალაქო კონტროლს, თუმცა ასეთ კონტროლს არცერთ შემთხვევაში არა აქვს სავალდებულო ძალა. მედიის მიერ ამა თუ იმ ფორმით გავრცელებული ინფორმაცია, ჟურნალისტური პუბლიკაციები თუ ტელეგადაცემები უპირატესად პროპაგანდისტული ხასიათისაა, სახელმწიფო ხელისუფლების საქმიანობა კი იმპერატიული და სავალდებულოა. საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოების ყველა გადაწყვეტილება სავალდებულო ძალისაა, რომელთა განხორციელებისათვის სახელმწიფოს გააჩნია სამართლებრივ საშუალებათა ფართო სპექტრი. მედია მასალას, რა ფორმითაც არ უნდა იყოს იგი დაფიქსირებული არც ერთ შემთხვევაში არ ჰქონია და არ აქვს ფიზიკური თუ იურიდიული პირებისათვის სავალდებულო მნიშვნელობა.

არც ერთ ქვეყანაში მედია არასოდეს არ ყოფილა და არც არის პოლიტიკური სუბიექტი, ხელისუფლების მოპოვებისა და შენარჩუნების უშუალო მონაწილე, მაგალითად ისეთი, როგორცაა პოლიტიკური პარტია. თუ მასმედიას მივიჩნევთ „მეოთხე ხელისუფლებად“ გარდაუვალი გახდენა ბრძოლა მასზე გავლენისათვის მათივე მეშვეობით.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ხელისუფლების თითოეულ განმტოებას აქვს შესაბამისი სახელწოდება - საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება, რაც შეეხება ე.წ. „მეოთხე ხელისუფლებას“ მას არ აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს ანალოგიური სახელწოდება.

არსებითი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებასაც, რომ სახელმწიფო ხელისუფლება არ შეიძლება იყოს თავისუფალი ყიდვა-გაყიდვის ობიექტი ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. კაცობრიობის ისტორია არ იცნობს საკანონმდებლო, აღმასრულებელი თუ სასამართლო ორგანოების თავისუფალი ყიდვა-გაყიდვის არც ერთ შემთხვევას. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ყიდვა-გაყიდვამ, რაც ასე ამკარად და ხშირად ხდება თანამედროვე პერიოდში, დაამსხვრია მითი „მეოთხე ხელისუფლების“ შესახებ.¹

ამ პროცესს დასაბამი მიეცა აშშ-ში, როდესაც პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა მიიღო გადაწყვეტილება მასმედიის ყიდვა-გაყიდვის ლიბერალიზაციის შესახებ. ამ გადაწყვეტილების საფუძველზე დაიწყო ტელეარხების გაყიდვის „აუქციონები“. უმსხვილეს კორპორაციებს მიეცათ თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობა საგაზეთო ქსელების, საკაბელო ტელევიზიების, რადიოსიხშირეების შეძენის საქმეში, რის შედეგადაც რადიოსადგურებისა და ტელევიზიების უმეტესი ნაწილი ერთი მუჭა მედიამაგნატების ხელში აღმოჩნდა, რომლებიც თვითონ წყვეტენ, რას უნდა უცქიროს, მოუსმინოს და რა უნდა იცოდეს საზოგადოებამ. ანალოგიური პროცესი მიმდინარეობს მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში.

საქართველოში ყიდვა-გაყიდვის ობიექტი გახდა სატელევიზიო ანძაც.²

„მეოთხე ხელისუფლების“ სტატუსის ფონზე გაჩნდა მასმედიის მიდრეკილება - აქტიურად ჩაერთოს სახელმწიფო ხელისუფლო ფუნქციებში, არამარტო შედასახელმწიფოებრივ პროცესებში, არამედ საგარეო პოლიტიკურ მოვლენებში. ზოგიერთ კრიზისულ სიტუაციაში მასმედიას შეუძლია იცოდეს უფრო მეტი, ვიდრე მთავრობამ და საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაციული ნაკადი. ჟურნალისტიკა არ ქმნის პოლიტიკას, მაგრამ შეუძლია მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს მასზე. საინფორმაციო ინსტიტუტების მეშვეობით მიმდინარეობს ბრძოლა პოლიტიკური ხელისუფლებისათვის. საარჩევნო კამპანიის დროს წონადი ხდება მასმედიის აზრი საზოგადოებაში, იქმნება სამკუთხედი: მთავრობა - მასმედია - საზოგადოება.

მასმედია აქტიურად ერევა სასამართლო ხელისუფლების საქმიანობაში. ჟურნალისტების მიერ სასამართლო საქმეების გაცნობა, სასამართლო პროცესის გაშუქება სპეციფიკურია იმ თვალსაზრისით, რომ არ დაირღვეს ისეთი კონსტიტუციური პრინციპები, როგორცაა სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა, სამართლის უზენაესობა და კანონის წინაშე ყველას თანასწორობა, სამართალწარმოების დემოკრატიულობა და საჯაროობა, უდანაშაულობის პრეზუმფცია, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა.

მართლმსაჯულების ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს ის, რომ „არავის არა აქვს უფლება ჩაერიოს მართლმსაჯულების განხორციელებაში და ზეგავლენა მოახდინოს მოსამართლეზე ან მსაჯულზე“. ეს არამარტო ფუნდამენტური, არამედ იმპერატიული პრინციპიცაა, რომლის დარღვევა არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება.

ჩაითვლება თუ არა ამ პრინციპის დარღვევად ე.წ. „ჟურნალისტური გამოძიება“, რომელსაც ჟურნალისტები წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვისაგან დამოუკიდებლად აწარმოებენ? სწორია თუ არა ფრაზა „ჟურნალისტური გამოძიება“, რომელიც დამკვიდრდა საზოგადოებრივ ცხოვრებასა და მაუნყებლობის საშუალებებში? რა თქმა უნდა - არა. „გამოძიება“ სპეციალური იურიდიულ-პროცესუალური ტერმინია და ამ საქმეს აწარმოებს საამისო კომპეტენციით აღჭურვილი პირი, რომელსაც სათანა-

¹ Дж. Кизза, «Миф о четвертой власти», «Литературная Газета», 2003. #17

² 2011 წლის 1 აგვისტოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ 275 მეტრიანი თბილისის სატელევიზიო ანძა აუქციონზე 110 000 ლარად 4 წლიანი მართვის უფლებით „გოლდენ კომს“ გადასცა, რომელმაც 4 წლის განმავლობაში 12 მილიონი დოლარის ინვესტიცია უნდა განახორციელოს



დო სამართლებრივი ცოდნა და კვალიფიკაცია აქვს. წინასწარი გამოძიების შედეგი მართლმსაჯულების სწორად განხორციელების აუცილებელი პირობაა. მას ისეთივე სავალდებულო ძალა აქვს, როგორც სასამართლოს განაჩენსა და გადაწყვეტილებას, ჟურნალისტურ გამოძიებას კი არავითარი იურიდიული ძალა არ გააჩნია და ის არც მტკიცების საშუალებას არ წარმოადგენს.

ჟურნალისტიკა თავისუფალი პროფესიაა და ყველა ჟურნალისტი ისევე როგორც ყველა მოქალაქეს უფლება აქვს მოიძიოს და გაანალიზოს ამა თუ იმ საქმის ირგვლივ არსებული ობიექტური გარემოებანი. მაგრამ ეს იქნება არა გამოძიება (იურიდიულ-პროცესუალური პროცედურა), არამედ გამოკვლევა, რომელსაც არავისთვის და არავითარი სავალდებულო ძალა არ აქვს.

ამჟამად, საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობენ არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც პრობლემურ საკითხებზე აწარმოებენ გამოკვლევებს. ხშირად მათ დასკვნებსა და არგუმენტებს დიდი მნიშვნელობა აქვთ, თუმცა თავიანთ საქმიანობას არ მიიჩნევენ გამოძიებად. სიტყვაუხვი ქართული ენა იძლევა იმის საშუალებას, რომ მოვლენებს შესატყვისი სახელი დაერქვას. კერძოდ, საგამოძიებო ორგანიზაციების საქმიანობას - „გამოძიება“, მასმედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობას - „გამოკვლევა“.

ზოგიერთი მკვლევარი ჟურნალისტურ გამოძიებას ორიგინალურს უწოდებს. „ორიგინალური ჟურნალისტური გამოძიება გულისხმობს რეპორტიორებს, რომლებიც თავად იძიებენ, ააშკარავენ ისეთ ქმედებებს, რომლებიც მანამდე უცნობი იყო საზოგადოებისათვის“.¹

ასეთი მოსაზრების მომხრეებს ავინყდებათ რომ რაც არ უნდა ორიგინალური იყოს რეპორტიორების მიერ ჩატარებული სამუშაო, ის არ შეიძლება ჩაითვალოს გამოძიებად, ვინაიდან კანონით მათ არ აქვთ ამის უფლება. ეს არის ჟურნალისტური გამოკვლევა, რომლის მნიშვნელობა ხშირ შემთხვევაში ფასდაუდებელია რამდენადაც ბევრი უარყოფითი მოვლენა და დარღვევა გამოუვლინებიან.

ჟურნალისტებისა და იურისტების ერთობლივი თანამშრომლობა მართლმსაჯულების განხორციელების სფეროში ეფექტური და შედეგიანია, თუმცა მათი პროფესიული კომპეტენციის უგულვებელყოფა და ერთმანეთში აღრევა, არამართლზომიერია. გამოძიება და დამნაშავის დასჯა სახელმწიფოს სამართალდამცავი ორგანოების კომპეტენციაა და არა მასმედიის.

სად არის ზღვარი პროფესიონალი იურისტისა და ჟურნალისტის საქმიანობას შორის? რა მოსდევს მათი ფუნქციების აღრევას - სიკეთე თუ ზიანი? როცა ჟურნალისტი ტელეკრანიდან ან პრესის ფურცლებზე წინასწარ, სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანამდე აცხადებს პირს დამნაშავედ, ირღვევა კონსტიტუციური ნორმა უდანაშაულობის პრეზუმფციის შესახებ და შესაბამისად ირღვევა ადამიანის უფლებებიც.

ჟურნალისტებს ბევრჯერ ფასდაუდებელი სამსახური გაუწევიათ მართლმსაჯულებისათვის, თუმცა მომხდარა პირიქითაც: სიტყვის თავისუფლების პრინციპის უპასუხისმგებლოდ გამოყენებას მნიშვნელოვანი ზიანი მოუტანია როგორც სახელმწიფოს, ასევე ცალკეული მოქალაქეებისათვის.

ჟურნალისტური გამოკვლევების აუცილებლობა, არგუმენტირებული და ობიექტური კრიტიკა სასამართლო ორგანოების მიმართ არაერთხელ გამხდარა სასამართლო შეცდომების საფუძველი. სოციალური პრაქტიკა მრავალ ასეთ მაგალითს იცნობს. მსოფლიოში გახმაურებულია ფაქტი არნახული უსამართლობის შესახებ: გაერთიანებულ სამეფოში მოქალაქეს გამოუტანეს განაჩენი მკვლელობისათვის, რომელიც მას არ ჩაუდენია. მსჯავრდებულმა 27 წელი დაჰყო ციხეში. განაჩენი გადაისინჯა მხოლოდ 2002 წლის მარტში ადგილობრივი გაზეთის რედაქტორის მიერ წარმოებული დაულალავი მცდელობის შედეგად.²

შეცდომების ძიება და მასზე რეაგირება სიფხიზლეს მატებს და სტიმულს აძლევს ჟურნალისტს განახორციელოს საჯარო ზედამხედველობა საზოგადოებრივი ინტერესებისათვის. ჟურნალისტის მოვალეობაა თავის პუბლიკაციებში მინიმუმამდე შეამციროს შეცდომების დაშვების შესაძლებლობა, ობიექტური და კომპეტენტური ინფორმაცია სასამართლოს საქმიანობის შესახებ საიმედო წყაროს უნდა ეყრდნობოდეს.

იურიდიული რეალობა უაღრესად სფეციფიკურია. ამიტომ ჟურნალისტს, რომლებიც აღნიშნულ სფეროს აშუქებს, უნდა ჰქონდეთ სათანადო სამართლებრივი ცოდნა და სამართლებრივი კულტურა.

მასმედია არ საჭიროებს ხელოვნურ განდიდებას. მას ისედაც დიდი როლი აკისრია საზოგადოების დემოკრატიზაციის, მისი ჰარმონიული განვითარების, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის საქმეში. თუ მისი ესოდენ დიდი როლის გამო მასმედიას უნდა მიენიჭოს ხელისუფლების სტატუსი, ეს იქნება არა სახელმწიფო ხელისუფლების განშტოება, ე.წ. „მეოთხე ხელისუფლება“, არამედ სოციალური ხელისუფლების სახესხვაობა.

¹ ბილ კოვაჩი, ტომ როზენსტილი, „ჟურნალისტიკის ელემენტები“, თბ. 2006, გვ.29

² თ. ალფაიძე, მედია სამართალი, თბ. 2008, გვ.85



თამარ ალფაიძე

მასმედია და სახელმწიფო ხელისუფლება

რეზიუმე

საზოგადოებაში მასმედიის განსაკუთრებული როლის გამო, მეცნიერ-მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ იგი არის “მეოთხე ხელისუფლება”, სახელმწიფო ხელისუფლების მეოთხე განშტოება, რაც ჩემი აზრით არ ასახავს რეალობას. სახელმწიფო ხელისუფლება წმინდა პოლიტიკური მოვლენაა, რომელიც ხელისუფლების განაწილების კლასიკური მოდელის შესაბამისად განიყოფება სამ განშტოებად: საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად. მასმედია ვერ ჩაითვლება სახელმწიფო ხელისუფლების მეოთხე განშტოებად, ვინაიდან იგი არ არის პოლიტიკური სუბიექტი, ხელისუფლების მოპოვებისა და შენარჩუნების უშუალო მონაწილე. მედიის მიერ ამა თუ იმ ფორმით გავრცელებული ინფორმაცია, ჟურნალისტური პუბლიკაციები და ტელეგადაცემები უპირატესად პროპაგანდისტული ხასიათისაა, მაშინ როდესაც სახელმწიფო ხელისუფლების საქმიანობა იმპერატიულია და მისი ორგანოების ყველა გადაწყვეტილებას სავალდებულო ძალა აქვს. არსებითი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ სახელმწიფო ხელისუფლება არ შეიძლება იყოს თავისუფალი ყიდვა-გაყიდვის ობიექტი. მასმედიის საშუალებების ყიდვა-გაყიდვამ, რამაც მასობრივი ხასიათი მიიღო დაადასტურა, რომ იგი არ არის და არც შეიძლება იყოს სახელმწიფო ხელისუფლების “მეოთხე განშტოება”. თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მასმედიის დიდი როლის გამო აუცილებელია მას მიენიჭოს ხელისუფლების სტატუსი, ეს იქნება სოციალური ხელისუფლების სახესხვაობა და არა სახელმწიფო ხელისუფლების მეოთხე განშტოება.

Tamar Alpaidze

MASS MEDIA AND STATE GOVERNMENT

Summary

Due to special role of Mass media in the society, many academics and researchers believe that by nature it is the "Fourth Branch of Government" which in my opinion does not reflect current reality. State governance is a purely political phenomenon, which in accordance with the classical model of power distribution is divided into three respective branches: Executive, legislative and judicial. The media cannot be considered as a fourth branch of the state government, since it is not a political unit and lacks relevant authority. Information distributed by the media like journalistic publications and TV programs are mainly propaganda by its nature, while state government and all its agencies have the power to take binding decisions. It is essential that the state government may not be subject to regular market transactions, while it is widely accepted that mass media can be bought/sold, therefore it cannot be considered as "fourth branch of government". If a significant role in the social life requires media to be given the status of the governmental authority, it will be a variety of social governance and not the classic fourth branch of state government.

თამარ ალფანიძე

შესავალი
სამართალმცოდნეობაში



თბილისი

2008

UDC (უაკ) 34 (075.8)
ა-534

რედაქტორი:

პაატა ცნობილაძე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი

რეცენზენტები:

ლევან იზორია, სამართლის დოქტორი

გიორგი თევდორაშვილი, სამართლის დოქტორი

ISBN 978-9941-0-0816-0

© თამარ ალფაიძე, შესავალი სამართალმცოდნეობაში. 2008

შინაარსი

| | |
|--|-----|
| წინასიტყვაობა..... | 9 |
| შესავალი – სასწავლო დისციპლინის „შესავალი სამართალმცოდნეობაში“ ზოგადი დახასიათება..... | 12 |
| პირველი ნაწილი – სახელმწიფოთმცოდნეობა (სახელმწიფოს თეორია)..... | 25 |
| თავი I. სახელმწიფოს არსი და მისი განვითარების კანონზომიერებანი | 26 |
| § 1. ძირითადი თეორიები სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ..... | 26 |
| § 2. სახელმწიფოს ცნება, მისი ძირითადი ნიშნები..... | 32 |
| § 3. სახელმწიფო და სამართალი საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში | 39 |
| თავი II. სახელმწიფოს მიზანი და დანიშნულება. სახელმწიფოს ფუნქციები ... | 44 |
| § 1. სახელმწიფოს მიზნისა და ფუნქციების თანაფარდობა..... | 44 |
| § 2. სახელმწიფოს ფუნქციების კლასიფიკაცია..... | 45 |
| § 3. სახელმწიფოს ფუნქციების განხორციელების ფორმები და მეთოდები | 48 |
| თავი III. სახელმწიფოს მექანიზმი (აპარატი) | 53 |
| § 1. ხელისუფლების დანაწილება, როგორც სახელმწიფოს მექანიზმის ორგანიზაციის სამართლებრივი ფორმა..... | 53 |
| § 2. სახელმწიფოს მექანიზმის (აპარატის) ცნება..... | 56 |
| § 3. სახელმწიფო ორგანოთა სახეები..... | 59 |
| თავი IV. სახელმწიფოს ფორმა..... | 64 |
| § 1. სახელმწიფოს ფორმის ცნება..... | 64 |
| § 2. სახელმწიფო მმართველობის ფორმა | 66 |
| § 3. სახელმწიფოს ტერიტორიული ორგანიზაციის ფორმა (სახელმწიფოს წყობილების ფორმა) | 75 |
| § 4. სახელმწიფო-სამართლებრივი (პოლიტიკური) რეჟიმი..... | 79 |
| § 5. სახელმწიფოს ფორმათა მრავალფეროვნების მიზეზები..... | 81 |
| თავი V. სახელმწიფოსა და სამართლებრივი სისტემების ტიპოლოგია | 82 |
| § 1. სახელმწიფოსა და სამართლებრივი სისტემების ტიპოლოგიის ცნება | 82 |
| § 2. ძველი აღმოსავლეთის სახელმწიფოები | 86 |
| § 3. მონათმფლობელური სახელმწიფო და სამართალი | 87 |
| § 4. ფეოდალური სახელმწიფო და სამართალი..... | 90 |
| § 5. კაპიტალისტური (ბურჟუაზიული) სახელმწიფო და სამართალი..... | 94 |
| § 6. სოციალისტური სახელმწიფო და სამართალი..... | 99 |
| § 7. გარდამავალი ტიპის სახელმწიფო და სამართალი..... | 101 |

თავი VI. სამოქალაქო საზოგადოება. სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფო 108

 § 1. სამოქალაქო საზოგადოება 108

 § 2. სამართლებრივი სახელმწიფო 111

 § 3. სოციალური სახელმწიფო..... 115

მეორე ნაწილი – სამართალმცოდნეობა (სამართლის თეორია) 121

თავი VII. სამართლის ცნება, არსი და სოციალური დანიშნულება 122

 § 1. სამართლის ცნება, ძირითადი ნიშნები..... 122

 § 2. ძირითადი თეორიები სამართლის არსის შესახებ 131

 § 3. სამართალი და კანონი 146

 § 4. სამართლის პრინციპები..... 151

 § 5. სამართლის ფუნქციები და სოციალური დანიშნულება 157

თავი VIII. სამართალი სოციალურ ნორმათა სისტემაში 163

 § 1. სამართალი და მორალი (ზნეობა) 165

 § 2. სამართალი და ჩვეულება..... 169

 § 3. სამართალი და პოლიტიკა 173

 § 4. სამართალი და რელიგია 177

თავი IX. სამართლის ნორმები 186

 § 1. სამართლის ნორმის ცნება..... 186

 § 2. სამართლის ნორმის სახეები..... 190

 § 3. სამართლის ნორმის სტრუქტურა 195

 § 4. ნორმატიულ სამართლებრივ აქტში სამართლის ნორმის
 გადმოცემის ხერხები..... 200

თავი X. სამართლის წყაროები (წმრამები)..... 203

 1. სამართლის წყაროს ცნება..... 203

 § 2. ჩვეულებითი სამართალი, როგორც სამართლის წყარო 206

 § 3. პრეცედენტი როგორც სამართლის წყარო (სამოსამართლო სამართალი)..... 208

 § 4. იურისტების სამართალი..... 212

 § 5. ნორმატიული ხელშეკრულება 214

 § 6. პოზიტიური კანონმდებლობა..... 215

თავი XI. სამართალშემოქმედება და მისი შედეგი 218

 § 1. სამართალშემოქმედების ცნება..... 218

 § 2. სამართალშემოქმედების ფორმები 220

 § 3. საკანონმდებლო პროცესი..... 222

 § 4. იურიდიული ტექნიკა 226

| | |
|---|-----|
| თავი XII. ნორმატიული სამართლებრივი აქტები | 238 |
| § 1. ნორმატიული სამართლებრივი აქტის ცნება | 238 |
| § 2. ნორმატიული სამართლებრივი აქტის სახეები | 242 |
| § 3. კანონი როგორც სამართლის უმნიშვნელოვანესი წყარო | 244 |
| § 4. კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები | 249 |
| | |
| თავი XIII. ნორმატიული აქტის მოქმედების ფარგლები (ნორმატიული აქტის მოქმედება დროში, სივრცეში და პირთა წრის მიმართ) | 253 |
| § 1. ნორმატიული აქტის მოქმედება დროში, აქტის (კანონის) უკუქაღალა | 253 |
| § 2. ნორმატიული აქტის მოქმედება სივრცეში | 257 |
| § 3. ნორმატიული აქტის მოქმედება პირთა წრის მიმართ | 258 |
| | |
| თავი XIV. ნორმატიული აქტების სისტემატიზაცია | 262 |
| § 1. კოდიფიკაცია | 263 |
| § 2. ინკორპორაცია | 264 |
| § 3. კონსოლიდაცია | 266 |
| | |
| თავი XV. მართლშეგნება, სამართლებრივი კულტურა და სამართლებრივი აღზრდა | 270 |
| § 1. მართლშეგნების ცნება | 270 |
| § 2. მართლშეგნების სტრუქტურა | 273 |
| § 3. სამართლებრივი კულტურა | 275 |
| § 4. სამართალი – ცივილიზაციის და კულტურის მოვლენა | 279 |
| § 5. სამართლებრივი აღზრდა | 284 |
| | |
| თავი XVI. სამართლებრივი ურთიერთობა | 287 |
| § 1. სამართლებრივი ურთიერთობის ცნება | 287 |
| § 2. სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი | 292 |
| § 3. სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი | 298 |
| § 4. სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი (უფლება-მოვალეობანი) | 302 |
| § 5. სამართლებრივი ურთიერთობის სახეები | 305 |
| § 6. იურიდიული ფაქტები, ფაქტობრივი შემადგენლობა | 306 |
| | |
| თავი XVII. სამართლის მოქმედება და მისი რეალიზაციის ფორმები | 310 |
| § 1. სამართლის მოქმედების ცნება | 310 |
| § 2. სამართლის რეალიზაციის ფორმები | 311 |
| § 3. სამართლის შეფარდება, როგორც სამართლის რეალიზაციის სპეციფიკური ფორმა | 314 |
| § 4. სამართლის შეფარდების სტადიები | 316 |
| § 5. სამართლის შეფარდების აქტები | 322 |
| § 6. ანალოგია სამართალში | 326 |

| | |
|--|-----|
| თავი XVIII. სამართლის ნორმათა განმარტება | 330 |
| § 1. სამართლის ნორმათა განმარტების ცნება..... | 330 |
| § 2. სამართლის ნორმის განმარტების მეთოდები და ხერხები..... | 334 |
| § 3. ახსნა-განმარტების სახეები | 341 |
| § 4. სამართლის ნორმათა განმარტების შედეგი..... | 344 |
| | |
| თავი XIX. სამართლის სისტემა და კანონმდებლობის სისტემა..... | 347 |
| § 1. სამართლის სისტემის ცნება, სამართლის სისტემის ძირითადი ნიშნები..... | 347 |
| § 2. სამართლის სისტემის სტრუქტურული ელემენტები..... | 350 |
| § 3. სამართლის სისტემის დარგებად და ინსტიტუტებად დაყოფის კრიტერიუმები..... | 357 |
| § 4. სამართლის სისტემის და კანონმდებლობის სისტემის თანაფარდობა | 362 |
| | |
| თავი XX. მართლზომიერი ქცევა, სამართალდარღვევა და იურიდიული პასუხისმგებლობა | 368 |
| § 1. მართლზომიერი ქცევა | 368 |
| § 2. სამართალდარღვევა (არამართლზომიერი ქცევა)..... | 373 |
| § 3. სამართალდარღვევის სახეები | 376 |
| § 4. იურიდიული პასუხისმგებლობა | 380 |
| | |
| თავი XXI. კანონიერება და მართლწესრიგი | 388 |
| § 1. კანონიერების ცნება..... | 388 |
| § 2. კანონიერების მოთხოვნები | 392 |
| § 3. კანონიერების გარანტიები | 396 |
| § 4. მართლწესრიგი..... | 401 |
| | |
| თავი XXII. სამართლებრივი რეგულირება და მისი მიქანიზმი..... | 405 |
| § 1. სამართლებრივი რეგულირების მექანიზმის ცნება; სამართლებრივი რეგულირების სტადიები | 405 |
| § 2. სამართლებრივი რეგულირების საგანი..... | 410 |
| § 3. სამართლებრივი რეგულირების ტიპები და მეთოდები | 412 |
| | |
| თავი XXIII. თანამედროვეობის სამართლებრივი სისტემები (ოჯახები)..... | 417 |
| § 1. სამართლებრივი სისტემების ცნება. სისტემების კლასიფიკაცია | 417 |
| § 2. რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემა (ოჯახი) | 420 |
| § 3. ანგლო-ამერიკული სამართლებრივი სისტემა (ოჯახი)..... | 424 |
| § 4. მუსლიმური სამართლებრივი სისტემა (ოჯახი)..... | 431 |
| § 5. სოციალისტური სამართლებრივი სისტემა (ოჯახი) | 437 |
| § 6. ჩვეულებითი სამართლის სისტემა (ოჯახი)..... | 438 |

მესამე ნაწილი – კაზუსები (სასწავლო-პრაქტიკული მაგალითები)
 ძველი რომაელი იურისტების სენტენციები
 რომის სამართლის ძირითადი ფორმულები და ტერმინები..... 443

ძველი რომაელი იურისტების სენტენციები..... 462
 რომის სამართლის ძირითადი ფორმულები და ტერმინები 467
 რეზიუმე 469
 შენიშვნები..... 471

სწავლასთან დაკავშირებული მასალები

„სახელმწიფო კანონების ისტორია კაცობრიობის ჭკუა-გონების ისტორიაა, ბრძოლისა და არმიების ისტორიის აღწერა კი ისტორიაა კაცობრიობის უგუნურებისა“

შტუიცნერი

„სამართალი დასაბამს ღებულობს სამართლიანობისაგან, როგორც დედისაგან. მაშასადამე, სამართლის წინ იყო სამართლიანობა“

დივესტები

წინასიტყვაობა

იურიდიული პროფესიის შემოქმედი აკადემიური განათლებაა. სწავლული იურისტები – მოსამართლეები, პროკურორები, გამომძიებლები, ადვოკატები, იურისკონსულტები და სხვები ქმნიან რიცხვობრივად მნიშვნელოვან ჯგუფებს, რომლებიც არსებით გავლენას ახდენენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების მსვლელობაზე.

გერმანელი მეცნიერი ვ. ბერგემანი განსაზღვრავს რა ცნება იურისტს, მიუთითებს, რომ ისინი არიან სპეციალისტები, რომელთა საქმიანობის სფეროში შედის „სოციალური კონფლიქტების რაციონალურად გადაჭრის ტექნოლოგიები“.

„იურისტის“ კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი უნდა გამოირჩეოდეს ისეთი თვისებებით, როგორცაა სამოქალაქო მონიფულობა, პროფესიული ეთიკა, სამართლებრივი და ფსიქოლოგიური კულტურა, კანონისადმი პატივისცემა, მაღალი ზნეობრივი შეგნება, პასუხისმგებლობის გრძნობა, პრინციპულობა და დამოუკიდებლობა, უნარი სიტყვით მიმართოს აუდიტორიას, დაასაბუთოს და ადეკვატურად ჩამოაყალიბოს გადაწყვეტილება, გამოვიდეს საჯაროდ რთულ სოციალურ სიტუაციებში.

იურისტის ასეთი პიროვნული თვისებები და „სოციალური კონფლიქტების რაციონალურად გადაჭრის უნარი“ შეუძლებელია აკადემიური განათლების გარეშე.

ინტერესი იურიდიული პროფესიისა და იურიდიული მეცნიერების შესწავლისადმი უძველესი დროიდან მომდინარეობს. როგორც მთელ მსოფლიოში, ასევე საქართველოში იურიდიულ მეცნიერებას მდიდარი ტრადიციები აქვს. ქართული იურიდიული აზრი ქართული

სახელმწიფოებრიობის კვალდაკვალ ვითარდებოდა და ყოველთვის პროგრესული იდეებით გამოირჩეოდა.

სწავლული იურისტების მომზადების ტენდენცია სახელმწიფოს პრიორიტეტული საქმიანობაა, ვინაიდან იურისტების მოღვაწეობის გარეშე შეუძლებელია სახელმწიფოსა და საზოგადოების სამართლებრივი საფუძვლების განმტკიცება, სახელმწიფო სტრუქტურების ფუნქციონირება, პიროვნების თავისუფლება, მისი კანონიერი ინტერესების დაცვა. ფართო დიაპაზონის განათლებული იურისტების საქმიანობა ცივილიზებული, სამოქალაქო საზოგადოებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს წარმატების ერთ-ერთი მტკიცე გარანტიაა. ამ დიდმნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საქმეში გადამწყვეტი ფაქტორია საუნივერსიტეტო განათლება. სწორედ უმაღლესი სასწავლებელია ის კერა, რომელიც მომავალ იურისტს აძლევს მეცნიერულად დასაბუთებულ ცოდნას სახელმწიფო-სამართლებრივ მოვლენებზე, საძირკველს უყრის სტუდენტის ზოგად, ანალიტიკურ აზროვნებას, მართლშეგნებასა და იურიდიულ კულტურას.

რთული სამართლებრივი პრობლემების შესწავლისათვის სტუდენტებს აუცილებლობით ესაჭიროებათ სათანადო სამეცნიერო ლიტერატურა, უპირველეს ყოვლისა კი სპეციალური სახელმძღვანელოები, რომლებმაც უნდა უზრუნველჰყონ სწავლების მაღალი დონე.

წარმოდგენილი სახელმძღვანელო „შესავალი სამართალმცოდნეობაში“ განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტებისა და სამართლის სკოლების სტუდენტებისათვის, აგრეთვე იმ პირებისთვის, რომელთაც სურთ გაიღრმავონ ცოდნა იურისპრუდენციის სფეროში.

სახელმძღვანელოში თანმიმდევრულად არის გაშუქებული სახელმწიფო-სამართლებრივი მოვლენების არსი, მათი წარმოშობისა და განვითარების ძირითადი და ზოგადი კანონზომიერებანი, ახსნილია იურისპრუდენციის ფუძემდებლური ცნებები და კატეგორიები.

„შესავალი სამართალმცოდნეობაში“ იურიდიულ მეცნიერებათა სისტემაში წამყვანი სასწავლო დისციპლინაა, ვინაიდან იგი სტუდენტს აძლევს პირველ დაწყებით ცოდნას სახელმწიფო სამართლებრივ მოვლენებზე, რის გარეშეც დარგობრივი იურიდიული მეცნიერების შესწავლა შეუძლებელია. კერძოდ, სახელმძღვანელოში ახსნილი და მეცნიერულად დასაბუთებულია ისეთი ზოგადი საკითხები, როგორცაა სახელმწიფოსა და სამართლის არსი, სამართლის ნორმა

და მისი გამოვლენის ფორმები, კანონი და მისი ადგილი ნორმატიული სამართლებრივი აქტების სისტემაში, სამართლის რეალიზაციის ფორმები, სამართლებრივი ურთიერთობა და ა.შ. სახელმძღვანელოს მიზანია დაეხმაროს სტუდენტებს იურიდიული მეცნიერების საფუძვლების დაუფლებაში, გამოუმუშავოს მათ ცოდნის ათვისების უნარ-ჩვევები და იურიდიული აზროვნების სტილი.

„შესავლისამართალმცოდნეობაში“ იურისპრუდენციისერთგვარი კარიბჭეა, რომლის გავლისა და ათვისების გარეშე შეუძლებელია იურიდიული სამყაროს აღქმა და გაცნობიერება. სახელმძღვანელო ორიენტირებულია იურიდიული განათლების თანამედროვე სტილის დაუფლებაზე, მომავალი იურისტების ცოდნის თვალსაწიერის გაფართოებაზე. სახელმძღვანელოში გაანალიზებულია სხვადასხვა მეცნიერული კონცეფცია, ასახულია აკადემიური სამართლებრივი აზრის ძირითადი მიღწევები, გამოკვეთილია სამართლის უდავო პრიორიტეტი სახელმწიფოსთან მიმართებაში, სამართლის უპირველესი დანიშნულება – უზრუნველყოს პიროვნების თავისუფლება მისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა.

სახელმძღვანელოში გამოყენებულია სათანადო ნომრატიული აქტები, ქართველი სწავლული იურისტების შრომები, მდიდარი უცხოენოვანი ლიტერატურა. თეორიული დებულებანი ილუსტრირებულია შესაბამისი სქემებით, რომლებიც თვალსაჩინოდ წარმოაჩენენ შესასწავლ მასალას, რაც მნიშვნელოვნად გაუადვილებს სტუდენტს თეორიული ცნებებისა და კატეგორიების ათვისებასა და დამახსოვრებას. ამავე მიზნით, სახელმძღვანელოში მოთავსებულია კაზუსები, რომლებიც თეორიულ დებულებებსა და რეალურ ცხოვრებას შორის ერთგვარი დამაკავშირებელი რგოლია. ასევე ჩართულია ძველი რომაელი იურისტების ცნობილი სენტენციები, რომის სამართლის ძირითადი ფორმულები და ტერმინები, რომელთა ცოდნა ფართო დიაპაზონის იურიდიული განათლების მნიშვნელოვანი ატრიბუტია.

ავტორი მადლიერების გრძნობით მიიღებს ყველა კრიტიკულ შენიშვნას, თუ ისინი ხელს შეუწყობენ სახელმძღვანელოს სრულყოფას.

თამარ ალფაიძე,
სამართლის დოქტორი

თამარ ალფანიძე

სამართალმცოდნეობის შესავალი



მეორე გამოცემა

თბილისი

2015

UDC (უაკ) 34 (075.8)
ა-534

რეცენზენტები:

მალხაზ ბეგიაშვილი, სამართლის დოქტორი
გიორგი თევდორაშვილი, სამართლის დოქტორი
ლევან იზორია, სამართლის დოქტორი
გიორგი კვერენჩილაძე, სამართლის დოქტორი
გიორგი ლორია, სამართლის დოქტორი
გია მეფარიშვილი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი
მინდია უგრეხელიძე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი
პაატა ცნობილაძე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი
კახი ყურაშვილი, სამართლის დოქტორი

ISBN 978-9941-0-8077-7

© თამარ ალფაიძე, შესავალი სამართალმცოდნეობაში. 2008
© თამარ ალფაიძე, სამართალმცოდნეობის შესავალი. 2015

შ ი ნ ა ა რ ს ი

| | |
|---|----|
| წინასიტყვაობა | 9 |
| შესავალი – სასწავლო დისციპლინა – „სამართალმცოდნეობის შესავალი“ ზოგადი დახასიათება | 12 |
| პირველი ნაწილი – სახელმწიფოთმცოდნეობა (სახელმწიფოს თეორია) | |
| თავი I. სახელმწიფოს არსი და მისი განვითარების კანონზომიერებანი | |
| § 1. ძირითადი თეორიები სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ | 26 |
| § 2. სახელმწიფოს ცნება, მისი ძირითადი ნიშნები | 32 |
| § 3. სახელმწიფო და სამართალი საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში | 39 |
| თავი II. სახელმწიფოს მიზანი და დანიშნულება. სახელმწიფოს ფუნქციები | |
| § 1. სახელმწიფოს მიზნისა და ფუნქციების თანაფარდობა | 44 |
| § 2. სახელმწიფოს ფუნქციების კლასიფიკაცია | 45 |
| § 3. სახელმწიფოს ფუნქციების განხორციელების ფორმები და მეთოდები | 48 |
| თავი III. სახელმწიფოს მექანიზმი (აპარატი) | |
| § 1. ხელისუფლების დანაწილება, როგორც სახელმწიფოს მექანიზმის ორგანიზაციის სამართლებრივი ფორმა | 53 |
| § 2. სახელმწიფოს მექანიზმის (აპარატის) ცნება | 56 |
| § 3. სახელმწიფო ორგანოთა სახეები | 58 |
| თავი IV. სახელმწიფოს ფორმა | |
| § 1. სახელმწიფოს ფორმის ცნება | 64 |
| § 2. სახელმწიფო მმართველობის ფორმა | 66 |
| § 3. სახელმწიფოს ტერიტორიული ორგანიზაციის ფორმა (სახელმწიფოს წყობილების ფორმა) | 74 |
| § 4. სახელმწიფო-სამართლებრივი (პოლიტიკური) რეჟიმი | 79 |
| § 5. სახელმწიფოს ფორმათა მრავალფეროვნების მიზეზები | 81 |

| | |
|---|-----|
| თავი V. სახელმწიფოსა და სამართლებრივი სისტემების ტიპოლოგია | |
| § 1. სახელმწიფოსა და სამართლებრივი სისტემების ტიპოლოგიის ცნება | 82 |
| § 2. ძველი აღმოსავლეთის სახელმწიფოები | 85 |
| § 3. მონათმფლობელური სახელმწიფო და სამართალი | 87 |
| § 4. ფეოდალური სახელმწიფო და სამართალი | 89 |
| § 5. კაპიტალისტური (ბურჟუაზიული) სახელმწიფო და სამართალი | 93 |
| § 6. სოციალისტური სახელმწიფო და სამართალი | 98 |
| § 7. გარდამავალი ტიპის სახელმწიფო და სამართალი | 100 |

თავი VI. სამოქალაქო საზოგადოება.

სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფო

| | |
|-------------------------------|-----|
| § 1. სამოქალაქო საზოგადოება | 106 |
| § 2. სამართლებრივი სახელმწიფო | 109 |
| § 3. სოციალური სახელმწიფო | 113 |

მეორე ნაწილი – სამართალმცოდნეობა
(სამართლის თეორია)

თავი VII. სამართლის ცნება, არსი და სოციალური დანიშნულება

| | |
|---|-----|
| § 1. სამართლის ცნება, ძირითადი ნიშნები | 119 |
| § 2. ძირითადი თეორიები სამართლის არსის შესახებ | 128 |
| § 3. სამართალი და კანონი | 142 |
| § 4. სამართლის პრინციპები | 147 |
| § 5. სამართლის ფუნქციები და სოციალური დანიშნულება | 153 |

თავი VIII. სამართალი სოციალურ ნორმათა სისტემაში

| | |
|-----------------------------------|-----|
| § 1. სამართალი და მორალი (ზნეობა) | 161 |
| § 2. სამართალი და ჩვეულება | 165 |
| § 3. სამართალი და პოლიტიკა | 168 |
| § 4. სამართალი და რელიგია | 172 |

თავი IX. სამართლის ნორმები

| | |
|--|-----|
| § 1. სამართლის ნორმის ცნება | 180 |
| § 2. სამართლის ნორმის სახეები | 184 |
| § 3. სამართლის ნორმის სტრუქტურა | 189 |
| § 4. ნორმატიულ სამართლებრივ აქტში სამართლის ნორმის გადმოცემის ხერხები | 194 |

| | |
|--|-----|
| თავი X. სამართლის წყაროები (ფორმები) | |
| § 1. სამართლის წყაროს ცნება | 197 |
| § 2. ჩვეულებითი სამართალი, როგორც სამართლის წყარო | 200 |
| § 3. პრეცედენტი როგორც სამართლის წყარო (სამოსამართლო სამართალი) | 202 |
| § 4. იურისტების სამართალი | 206 |
| § 5. ნორმატიული ხელშეკრულება | 207 |
| § 6. პოზიტიური კანონმდებლობა | 209 |
| თავი XI. სამართალშემოქმედება და მისი შედეგი | |
| § 1. სამართალშემოქმედების ცნება | 211 |
| § 2. სამართალშემოქმედების ფორმები | 213 |
| § 3. საკანონმდებლო პროცესი | 215 |
| § 4. იურიდიული ტექნიკა | 219 |
| თავი XII. ნორმატიული სამართლებრივი აქტები | |
| § 1. ნორმატიული სამართლებრივი აქტის ცნება | 230 |
| § 2. ნორმატიული სამართლებრივი აქტის სახეები | 234 |
| § 3. კანონი როგორც სამართლის უმნიშვნელოვანესი წყარო | 235 |
| § 4. კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები | 240 |
| თავი XIII. ნორმატიული აქტის მოქმედების ფარგლები (ნორმატიული აქტის მოქმედება დროში, სივრცეში და პირთა წრის მიმართ) | |
| § 1. ნორმატიული აქტის მოქმედება დროში, აქტის (კანონის) უკუძალა | 244 |
| § 2. ნორმატიული აქტის მოქმედება სივრცეში | 248 |
| § 3. ნორმატიული აქტის მოქმედება პირთა წრის მიმართ | 249 |
| თავი XIV. ნორმატიული აქტების სისტემატიზაცია | |
| § 1. კოდიფიკაცია | 253 |
| § 2. ინკორპორაცია | 254 |
| § 3. კონსოლიდაცია | 256 |
| თავი XV. მართლშეგნება, სამართლებრივი კულტურა და სამართლებრივი აღზრდა | |
| § 1. მართლშეგნების ცნება | 259 |
| § 2. მართლშეგნების სტრუქტურა | 262 |
| § 3. სამართლებრივი კულტურა | 264 |
| § 4. სამართალი – ცივილიზაციის და კულტურის მოვლენა | 267 |
| § 5. სამართლებრივი აღზრდა | 272 |

| | |
|---|-----|
| თავი XVI. სამართლებრივი ურთიერთობა | |
| § 1. სამართლებრივი ურთიერთობის ცნება | 275 |
| § 2. სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი | 280 |
| § 3. სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი | 285 |
| § 4. სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი (უფლება-მოვალეობანი) | 288 |
| § 5. სამართლებრივი ურთიერთობის სახეები | 292 |
| § 6. იურიდიული ფაქტები, ფაქტობრივი შემადგენლობა | 293 |
| თავი XVII. სამართლის მოქმედება და მისი რეალიზაციის ფორმები | |
| § 1. სამართლის მოქმედების ცნება | 297 |
| § 2. სამართლის რეალიზაციის ფორმები | 298 |
| § 3. სამართლის შეფარდება როგორც სამართლის რეალიზაციის სპეციფიკური ფორმა | 301 |
| § 4. სამართლის შეფარდების სტადიები | 303 |
| § 5. სამართლის შეფარდების აქტები | 308 |
| § 6. ანალოგია სამართალში | 312 |
| თავი XVIII. სამართლის ნორმათა განმარტება | |
| § 1. სამართლის ნორმათა განმარტების ცნება | 316 |
| § 2. სამართლის ნორმის განმარტების მეთოდები და ხერხები | 319 |
| § 3. ახსნა-განმარტების სახეები | 326 |
| § 4. სამართლის ნორმათა განმარტების შედეგი | 329 |
| თავი XIX. სამართლის სისტემა და კანონმდებლობის სისტემა | |
| § 1. სამართლის სისტემის ცნება, სამართლის სისტემის ძირითადი ნიშნები | 332 |
| § 2. სამართლის სისტემის სტრუქტურული ელემენტები | 335 |
| § 3. სამართლის სისტემის დარგებად და ინსტიტუტებად დაყოფის კრიტერიუმები | 341 |
| § 4. სამართლის სისტემის და კანონმდებლობის სისტემის თანაფარდობა | 345 |
| თავი XX. მართლზომიერი ძცევა, სამართალდარღვევა და იურიდიული პასუხისმგებლობა | |
| § 1. მართლზომიერი ქცევა | 351 |
| § 2. სამართალდარღვევა (არამართლზომიერი ქცევა) | 356 |
| § 3. სამართალდარღვევის სახეები | 359 |
| § 4. იურიდიული პასუხისმგებლობა | 363 |
| თავი XXI. კანონიერება და მართლწესრიგი | |
| § 1. კანონიერების ცნება | 370 |
| § 2. კანონიერების მოთხოვნები | 374 |
| § 3. კანონიერების გარანტიები | 378 |
| § 4. მართლწესრიგი | 383 |

თავი XXII. სამართლებრივი რეგულირება და მისი მექანიზმი

| | |
|--|-----|
| § 1. სამართლებრივი რეგულირების მექანიზმის ცნება; სამართლებრივი რეგულირების სტადიები | 387 |
| § 2. სამართლებრივი რეგულირების საგანი | 392 |
| § 3. სამართლებრივი რეგულირების ტიპები და მეთოდები | 394 |

თავი XXIII. თანამედროვეობის სამართლებრივი სისტემები (ოჯახები)

| | |
|--|-----|
| § 1. სამართლებრივი სისტემების ცნება. სისტემების კლასიფიკაცია | 398 |
| § 2. რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემა (ოჯახი) | 401 |
| § 3. ანგლო-ამერიკული სამართლებრივი სისტემა (ოჯახი) | 405 |
| § 4. მუსლიმური სამართლებრივი სისტემა (ოჯახი) | 411 |
| § 5. სოციალისტური სამართლებრივი სისტემა (ოჯახი) | 416 |
| § 6. ჩვეულებითი სამართლის სისტემა (ოჯახი) | 418 |


მესამე ნაწილი

| | |
|---|-----|
| კაზუსები (სასწავლო-პრაქტიკული მაგალითები) | 425 |
| ქველი რომაელი იურისტების სენტენციები | 440 |
| რომის სამართლის ძირითადი ფორმულები და ტერმინები | 444 |
| რეპიუმე | 446 |
| შენიშვნები | 448 |

იურიდიული არტეფაქტი

იურისტების ძველბერძნული ფიცი

“ვიღებ რა კეთილი ნებით იურისტის დიპლომს, ვკისრულობ ვალდებულებას და საზეიმოდ ვდებ ფიცს რექტორისა და იურიდიული ფაკულტეტის დეკანის წინაშე: ვტოვებ რა მეცნიერებისა და სიბრძნის ტაძრის კედლებს, ჩემს საქმიანობასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში არ ვუღალატებ ზოგადსაკაცობრიო და პროფესიული ეთიკის პრინციპებს, ყოველთვის და ყველგან დავიცავ კანონის სულს და სიტყვებს, სარგებლობას მოვუტან ყველას, ვისაც დასჭირდება ჩემი დახმარება და ერთგულად დავიცავ ჩემს მოვალეობას, ხელს შევეუწყობ მშვიდობის დამყარებას საზოგადოებაში, ავირჩევ წესიერებისა და სამართლიანობის, ჭეშმარიტებისა და სიკეთის გზას. ჩემი ცხოვრების მეგზური იქნება სიბრძნე და გონიერება. ვდებ რა ფიცს და ვიღებ პედაგოგების დალოცვას, დაე, ღმერთი იყოს ჩემი შემწე პროფესიულ საქმიანობაში*“



* კიპრელმა მეტუნე ავგუსტინმა ეს ძველბერძნული ფიცი პათოსით წარმოადგინა თიხისა და თაბაშირის ფირფიტებზე მართლმსაჯულების ქალღმერთის თემიდას გამოსახულებასთან ერთად

„სახელმწიფო კანონების ისტორია კაცობრიობის
ჭკუა-გონების ისტორიაა, ბრძოლისა და არმიების
ისტორიის აღწერა კი ისტორიაა კაცობრიობის უფუნურებისა“

შტუიცნერი

„სამართალი დასაბამს ლეზულობს
სამართლიანობისაგან, როგორც დედისაგან.
მაშასადამე, სამართლის წინ იყო
სამართლიანობა“

დიგესტები

წინასიტყვაობა

იურიდიული პროფესიის შემოქმედი აკადემიური განათლებაა. სწავლული იურისტები – მოსამართლეები, პროკურორები, გამომძიებლები, ადვოკატები, იურისკონსულები და სხვები ქმნიან რიცხვობრივად მნიშვნელოვან ჯგუფებს, რომლებიც არსებით გავლენას ახდენენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების მსვლელობაზე.

გერმანელი მეცნიერი ვ. ბერგემანი განსაზღვრავს რა ცნება იურისტს, მიუთითებს, რომ ისინი არიან სპეციალისტები, რომელთა საქმიანობის სფეროში შედის „სოციალური კონფლიქტების რაციონალურად გადაჭრის ტექნოლოგიები“.

„იურისტის“ კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი უნდა გამოიჩინოდეს ისეთი თვისებებით, როგორცაა სამოქალაქო მონიფულობა, პროფესიული ეთიკა, სამართლებრივი და ფსიქოლოგიური კულტურა, კანონისადმი პატივისცემა, მაღალი ზნეობრივი შეგნება, პასუხისმგებლობის გრძნობა, პრინციპულობა და დამოუკიდებლობა, უნარი სიტყვით მიმართოს აუდიტორიას, დაასაბუთოს და ადეკვატურად ჩამოაყალიბოს გადანწყვეტილება, გამოვიდეს საჯაროდ რთულ სოციალურ სიტუაციებში.

იურისტის ასეთი პიროვნული თვისებები და „სოციალური კონფლიქტების რაციონალურად გადაჭრის უნარი“ შეუძლებელია აკადემიური განათლების გარეშე.

ინტერესი იურიდიული პროფესიისა და იურიდიული მეცნიერების

შესწავლისადმი უძველესი დროიდან მომდინარეობს. როგორც მთელ მსოფლიოში, ასევე საქართველოში იურიდიულ მეცნიერებას მდიდარი ტრადიციები აქვს. ქართული იურიდიული აზრი ქართული სახელმწიფოებრიობის კვალდაკვალ ვითარდებოდა და ყოველთვის პროგრესული იდეებით გამოირჩეოდა.

სწავლული იურისტების მომზადების ტენდენცია სახელმწიფოს პრიორიტეტული საქმიანობაა, ვინაიდან იურისტების მოღვაწეობის გარეშე შეუძლებელია სახელმწიფოსა და საზოგადოების სამართლებრივი საფუძვლების განმტკიცება, სახელმწიფო სტრუქტურების ფუნქციონირება, პიროვნების თავისუფლება, მისი კანონიერი ინტერესების დაცვა. ფართო დიაპაზონის განათლებული იურისტების საქმიანობა ცივილიზებული, სამოქალაქო საზოგადოებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს წარმატების ერთ-ერთი მტკიცე გარანტიაა. ამ დიდმნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საქმეში გადამწყვეტი ფაქტორია საუნივერსიტეტო განათლება. სწორედ უმაღლესი სასწავლებელია ის კერა, რომელიც მომავალ იურისტს აძლევს მეცნიერულად დასაბუთებულ ცოდნას სახელმწიფო-სამართლებრივ მოვლენებზე, საძირკველს უყრის სტუდენტის ზოგად, ანალიტიკურ აზროვნებას, მართლმეგნებასა და იურიდიულ კულტურას.

რთული სამართლებრივი პრობლემების შესწავლისათვის სტუდენტებს აუცილებლობით ესაჭიროებათ სათანადო სამეცნიერო ლიტერატურა, უპირველეს ყოვლისა კი სპეციალური სახელმძღვანელოები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ სწავლების მაღალი დონე.

წარმოდგენილი სახელმძღვანელო „სამართალმცოდნეობის შესავალი“ განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტებისა და სამართლის სკოლების სტუდენტებისათვის, აგრეთვე იმ პირებისთვის, რომელთაც სურთ გაიღრმავონ ცოდნა იურისპრუდენციის სფეროში.

სახელმძღვანელოში თანმიმდევრულად არის გაშუქებული სახელმწიფო-სამართლებრივი მოვლენების არსი, მათი წარმოშობისა და განვითარების ძირითადი და ზოგადი კანონზომიერებანი, ახსნილია იურისპრუდენციის ფუძემდებლური ცნებები და კატეგორიები.

„სამართალმცოდნეობის შესავალი“ იურიდიულ მეცნიერებათა სისტემაში წამყვანი სასწავლო დისციპლინაა, ვინაიდან იგი სტუდენტს აძლევს პირველ დაწყებით ცოდნას სახელმწიფო სამართლებრივ მოვლენებზე, რის გარეშეც დარგობრივი იურიდიული მეცნიერების შესწავლა შეუძლებელია. კერძოდ, სახელმძღვანელოში ახსნილი და მეცნიერულად დასაბუთებულია ისეთი ზოგადი საკითხები, როგორიცაა სახელმწიფოსა და სამართლის არსი, სამართლის ნორმა და მისი გამოვლენის ფორმები,

კანონი და მისი ადგილი ნორმატიული სამართლებრივი აქტების სისტემაში, სამართლის რეალიზაციის ფორმები, სამართლებრივი ურთიერთობა და ა.შ. სახელმძღვანელოს მიზანია დაეხმაროს სტუდენტებს იურიდიული მეცნიერების საფუძვლების დაუფლებაში, გამოუმუშავოს მათ ცოდნის ათვისების უნარ-ჩვევები და იურიდიული აზროვნების სტილი.

„სამართალმცოდნეობის შესავალი“ იურისპრუდენციის ერთგვარი კარიბჭეა, რომლის გავლისა და ათვისების გარეშე შეუძლებელია იურიდიული სამყაროს აღქმა და გაცნობიერება. სახელმძღვანელო ორიენტირებულია იურიდიული განათლების თანამედროვე სტილის დაუფლებაზე, მომავალი იურისტების ცოდნის თვალსაწიერის გაფართოებაზე. სახელმძღვანელოში გაანალიზებულია სხვადასხვა მეცნიერული კონცეფცია, ასახულია აკადემიური სამართლებრივი აზრის ძირითადი მიღწევები, გამოკვეთილია სამართლის უდავო პრიორიტეტი სახელმწიფოსთან მიმართებაში, სამართლის უპირველესი დანიშნულება – უზრუნველყოს პიროვნების თავისუფლება, მისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა.

სახელმძღვანელოში გამოყენებულია სათანადო ნორმატიული აქტები, ქართველი სწავლული იურისტების შრომები, მდიდარი უცხოენოვანი ლიტერატურა. თეორიული დებულებანი ილუსტრირებულია შესაბამისი სქემებით, რომლებიც თვალსაჩინოდ წარმოაჩენენ შესასწავლ მასალას, რაც მნიშვნელოვნად გაუადვილებს სტუდენტს თეორიული ცნებებისა და კატეგორიების ათვისებასა და დამახსოვრებას. ამავე მიზნით, სახელმძღვანელოში მოთავსებულია კაზუსები, რომლებიც თეორიულ დებულებებსა და რეალურ ცხოვრებას შორის ერთგვარი დამაკავშირებელი რგოლია. ასევე ჩართულია ძველი რომაელი იურისტების ცნობილი სენტენციები, რომის სამართლის ძირითადი ფორმულები და ტერმინები, რომელთა ცოდნა ფართო დიაპაზონის იურიდიული განათლების მნიშვნელოვანი ატრიბუტია.

თამარ ალფანიძე,
სამართლის დოქტორი,
პროფესორი



ლ. გალდავა

ადამიანის ინფორმაციული უფლებები და თავისუფლებები — სამართლებრივი რეგულირების განსაკუთრებული ობიექტი

საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპს ახასიათებს ინფორმაციული სფეროს მზარდი აქტივობა. ამჟამად ინფორმაცია მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკური გარდაქმნის პროცესს, მიზანმიმართულს ხდის სოციალური პროგრესულ განვითარებას, მოიცავს მთლიანად საზოგადოებას და მის თითოეულ წევრს. ცივილიზებულ საზოგადოებაში ადამიანისა და მოქალაქის ფუნდამენტურ უფლებათა და თავისუფლებათა საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი უშუალოდ არის დაკავშირებული ინფორმაციასთან, წარმოადგენს ინფორმაციულ უფლებებსა და თავისუფლებებს.

როგორც ბიოსოციალურ არსებას, ადამიანს გააჩნია ბუნებრივი, დაბადებიდანვე თანდაყოლილი უფლებები და თავისუფლებები. ცივილიზებული სახელმწიფო აღიარებს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს როგორც წარუვალ და უზენაეს ღირებულებებს. მათი რეალიზაცია და დაცვა სახელმწიფოს იურიდიული მოვალეობაა, თუმცა ძირითადი უფლებების სფეროში სახელმწიფო უშუალოდ ვერ ჩაერევა (Bruno Schmidt-Bleibtreu, Franz Klein, 115).

ადამიანის ძირითადი უფლებების საფუძველი ბუნებითი სამართალია. ცნება „ძირითადი უფლებები“ არის უძველესი, ურთულესი და უმნიშვნელოვანესი. მართებულად მიუთითებდა ჯონ ლოკი, რომ ძირითადი უფლებები „ადრესახელმწიფოებრივი უფლებებია“, ამიტომ სახელმწიფოს არ აქვს ადამიანებისთვის მათი მინიჭების ან ჩამორთმევის უფლება, რადგან ეს უფლებები „ბუნების კანონიდან“ გამომდინარეობს, რომ ყოველ ადამიანს თავისი გონების მეშვეობით შეუძლია „ბუნების კანონების“ შეცნობა.

ცივილიზებულ საზოგადოებაში ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები განმტკიცებულია ქვეყნის ძირითად კანონში — კონსტიტუციაში. როგორც კონსტიტუციურ ნორმებს, ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, აქვთ უზენაესი იურიდიული ძალა — ისინი კონსტიტუციის შემადგებელი ნაწილია და ამდენად, სამართლებრივი სისტემის ორგანულ ნაწილსაც წარმოადგენენ.

საქართველოს კონსტიტუცია ძირითად უფლებებს განმარტავს როგორც უშუალოდ მოქმედ სამართალს. მასში დეტალურად არის გაანალიზებული და გარანტირებული ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების არსი, თუმცა, სასურველია, მომავალში მოხდეს მათი დეტალური კონკრეტიზაცია და სრულყოფა.

ძირითადი კონსტიტუციური ნორმა, რომელიც აფიქსირებს ადამიანის, როგორც ბიოფიზიოლოგიური არსების ბუნებრივ, ფუძემდებლურ ღირებულებას — თავისუფლებას და თანასწორობას არის საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი. მასში განმტკიცებულია, რომ „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა“ (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 14).

სამართლის უმნიშვნელოვანესი ღირებულება ადამიანის თავისუფლების აღიარებაა. მას განმტკიცებულს ჯერ კიდევ 1679 წლის Habeas Corpus Akte, რომლის თანახმად, ადამიანის თავისუფლების შეზღუდვა ან აღკვეთა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი საკანონმდებლო წესით განამტკიცებს ორ უზენაეს სოციალურ ღირებულებას, ადამიანის თავისუფლებასა და თანასწორობას. ადამიანის თავისუფლება განუსხვისებელია, რაც ლაკონურად არის გამოხატული ფრაზებში — „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია“, „ადამიანის თავისუფლება ხელშეუვალია“ (საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის I პუნქტი). ცივილიზებულ სამყაროში ადამიანის თავისუფლება არ არის დამოკიდებული სახელმწიფოს ნებაზე. კანონმდებლობა ბოჭავს სახელმწიფოს, თვითნებურად ჩაერიოს ადამიანის თავისუფლების სფეროში.

მეორე ფუძემდებლური პრინციპი, რომელიც საფუძვლად უდევს ადამიანის და მოქალაქის ძირითად უფლებებს, არის თანასწორობა. იურიდიული თვალსაზრისით, ამ პრინციპში იგულისხმება თანასწორობა კანონის წინაშე, რაც სამართლის ფენომენის უმნიშვნელოვანესი პრინციპი, სამართლის იდეის გა-



ნუყოფელი ნაწილია. „თანასწორობა ყოველთვის არის აბსტრაქცია არსებული უთანასწორობიდან“ (Radbruch, 122).

სამართლებრივი კანონის ფუნქცია მდგომარეობს იმაში, რომ მან თანასწორი იურიდიული შედეგი შეუფარდოს მის მიერ რეგულირებულ განსხვავებულ, ზოგჯერ უთანასწორო ურთიერთობებს.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, „კანონი ზოგადია და, მაშასადამე, ყველა უთანასწორო ურთიერთობა მან თანასწორად უნდა განიხილოს“ (Grundgesetz, 185).

იურიდიული თანასწორობა არ არის ფაქტობრივი თანასწორობის თანმხვედრი, რამდენადაც ფაქტობრივი თანასწორობა რეალურ ცხოვრებაში თითქმის უტოპიაა. შესაბამისად, კანონი არ ავალდებულებს სახელმწიფოს უზრუნველყოფს ბუნებრივი უთანასწორობის დაძლევა. თუნდაც ყველაზე სამართლიანი და დემოკრატიული წყობის პირობებში (Mangoldt/Klein/Starck, Bd. 1, Art. 3.Rdn.4).

თანასწორობის პრინციპი გულისხმობს იმას, რომ თანასწორად ან უთანასწოროდ უნდა იქნას განხილული მხოლოდ მსგავსი ურთიერთობები, რათა შესაძლებელი იყოს მათი ერთმანეთთან შედარება. აშშ-ის უზენაესი სასამართლოს განმარტებით, თანასწორად შეიძლება იქნას განხილულნი ის ადამიანები, რომლებიც იმყოფებიან მსგავს ვითარებაში (Currie, 53.).

თავისუფლებისა და თანასწორობის ფუნდამენტურ პრინციპებზე დაფუძნებულია ადამიანისა და მოქალაქის ძირითად უფლებათა მრავალფეროვანი პირამიდა. იურიდიულ ლიტერატურაში მოცემულია ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა სხვადასხვა კლასიფიკაცია, რომლის კრიტერიუმებად მიჩნეულია — მისი მიზანი მოქმედების სფეროს გათვალისწინებით, შინაარსი, აქტუალობა და ა.შ.

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, „ადამიანის უფლებებს ყოფენ „სუბ-კატეგორიებად“. ამ კატეგორიათა მთლიანობა, მათი ერთიანობა ქმნის უფლება-მოვალეობათა ერთიან სისტემას. ამ სისტემის ფარგლებში გამოყოფენ უფლება-თავისუფლებათა სამ ძირითად ჯგუფს: 1. პირადი თავისუფლებანი, რომლებიც იცავენ პიროვნების ავტონომიურობას; 2. პოლიტიკური უფლებანი, რომლებიც საშუალებას აძლევენ მოიპოვონ და მიიღონ ინფორმაცია იმ საზოგადოების საქმიანობის შესახებ, რომლის წევრებიც ისინი არიან; 3. სოციალურ-ეკონომიკური უფლებები, რომლებიც ადამიანებს უქმნიან მაღალი ეკონომიკური უსაფრთხოების გარანტიას (რუხაძე, 139).

კ. კუბლაშვილის აზრით, ადამიანის ძირითად უფლებათა დაჯგუფება უნდა მოხდეს სახელმწიფო ხელისუფლების ორიენტირების პრინციპების შესაბამისად. ამ თვალსაზრისით ერთმანეთისაგან გამოიყოფა:

1. თავისუფლების უფლებები; 2. სამოქალაქო უფლებები; 3. სოციალური უფლებები (კუბლაშვილი, 40-41).

ამდენად, ადამიანის უფლება-თავისუფლებათა კლასიფიკაცია პირობითია და ამ სფეროში სტაბილური, უცვლელი სისტემა არ არსებობს. შესაბამისად, უფლება-თავისუფლებათა კლასიფიკაცია არ არის ამომწურავი.

ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია კლასიფიკაციის სისტემაში გამოკვეთილად იქნას გათვალისწინებული ადამიანის და მოქალაქის ინფორმაციული უფლება-თავისუფლებანი, რამდენადაც ისინი თანამედროვე პერიოდში სპეციფიკურობით, აქტუალობით ხასიათდებიან და აქვთ დამოუკიდებლად არსებობის უფლება.

პიროვნების ინფორმაციული უფლებები განათლების, კულტურის, ხელოვნების, ინტელექტუალური ურთიერთობების სფეროში წარმოადგენს სხვა საყოველთაოდ აღიარებული უფლებების რეალიზაციის პირობას.

მსოფლიოში მიმდინარე ინოვაციებისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების უპრეცედენტო განვითარების პროცესი საქართველოსაც შეეხო. საქართველოს მოსახლეობისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს პროექტს ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარების შესახებ. პროექტის განხორციელების შედეგად, დამატებით ერთი მილიონი ადამიანი მიიღებს ინტერნეტით სარგებლობის შესაძლებლობას (ქაშიბაძე, გაზ. „კვირის პალიტრა“, 2015 წ. 16-22 ნომბერი). „ინფორმაციულ ეპოქაში“ დღითიდღე უფრო იზრდება ქართული საზოგადოების ინტერესი — ისარგებლოს მონესრიგებული, ობიექტური ინფორმაციული ინსტიტუტებით.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ინფორმაციული უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაცია პირდაპირ არის დამოკიდებული სამართლებრივ ნორმებზე, რომლებიც არეგულირებენ ინფორმაციულ



სტანდარტებს, ინფორმაციულ ინფრასტრუქტურის ობიექტების, მასმედიის საშუალებებისა და კომუნიკაციების გამოყენების რეჟიმს.

ინფორმაციული უფლებები და თავისუფლებები სამართლებრივი რეგულირების განსაკუთრებული ობიექტია, რომელიც მუდმივ დახვეწასა და სრულყოფას საჭიროებს. მართებულად მიუთითებს პროფესორი მ. ცაცანაშვილი, რომ „ინფორმაციის მასობრივი მოხმარებისა და გავრცელების პროცესში წარმოშობილი საზოგადოებრივი ურთიერთობის სამართლებრივი რეგლამენტაცია ორ ძირითად პრინციპზეა აგებული: 1) ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების თავისუფლება; 2) სხვათა უფლებების დაცვა ინფორმაციის ცირკულაციის პროცესში“ (ცაცანაშვილი, 1999, 115).

ადამიანის ინფორმაციულ უფლებათა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია სიტყვისა და აზრის გამოთქმის თავისუფლება, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებასთან. იგი არამარტო პიროვნებისთვის არის ღირებული, არამედ მედიისთვისაც, ვინაიდან სიტყვისა და აზრის თავისუფლებაზე ბევრად არის დამოკიდებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დამოუკიდებელი საქმიანობა.

საქართველოში ინფორმაციული უფლებების სამართლებრივი რეგულირების ფუნდამენტია საქართველოს კონსტიტუცია, რომლის 24-ე მუხლის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება „გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვა საშუალებით“.

„აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება განეკუთვნება ძირითად უფლებებს, რომლის გარეშე სამართლის უზენაესობაზე დაფუძნებული დემოკრატიული სახელმწიფო არ შეიძლება არსებობდეს“ (კორკელია, ქურდაძე, 193).

ინფორმაციული კულტურა, საზოგადოებაში დამკვიდრებული საერთო კულტურის ნაწილია და მნიშვნელოვნად განაპირობებს საზოგადოების პროგრესულ განვითარებას. ინფორმაციულ კულტურას ქმნის ადამიანისა და მოქალაქის ინფორმაციული უფლებებისა და თავისუფლებების სისტემა. ამ სისტემაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია გამომხატვის თავისუფლება. ტერმინ „გამომხატვაში“ მოიაზრება შეხედულებების, აზრის გამოთქმის წერილობითი და ზეპირი ფორმა, თუმცა იგი ასევე მოიცავს ნებისმიერ საშუალებას, რომელიც იდეების გაჟღერებასთან ან ინფორმაციის გავრცელებასთან არის დაკავშირებული, ინფორმაციის წარმოების, გადაცემის, გავრცელების საშუალებები და ბეჭდვითი მასალები, რადიომაუწყებლობა, ხელოვნების ნიმუშები, ფილმები, ელექტრონული საინფორმაციო სისტემები.

გამომხატვის თავისუფლების სამართლებრივი რეგულირება განმტკიცებულია ევროპული კონვენციის მე-10 მუხლში, რომელიც მოიცავს გამომხატვის თავისუფლების 3 ელემენტს: 1. საკუთარი აზრის მიდევნების (ქონის) თავისუფლებას; 2. ინფორმაციის გავრცელების თავისუფლებას; 3. ინფორმაციის მიღების თავისუფლებას.

„მე-10 მუხლით გარანტირებულ უფლებათა განხორციელების უპირველესი პირობაა აზრის მიდევნების (ქონის) თავისუფლება. ამ უფლების დაცვას აბსოლუტური ხასიათი აქვს, ვინაიდან შეზღუდვები, რომლებიც ჩამოთვლილია მე-2 პუნქტში, მოცემულ შემთხვევაში არ გამოიყენება. ამ უფლებასთან მიმართებით ნებისმიერი შეზღუდვა შეუთავსებელია დემოკრატიული საზოგადოების ბუნებასთან“ (კორკელია, ქურდაძე, 200).

„სახელმწიფოს აღჭურვა იმ უფლებით, რომ თავისი მოქალაქეების აზრები დაეყოს „სწორ“ და „არასწორ“ აზრებად და მხოლოდ „სწორი“ აზრები დაიცვას, „არასწორი“ კი შეძლებისდაგვარად აკრძალოს, დაუშვებელია და ეწინააღმდეგება პლურალისტური დემოკრატიის პრინციპს“ (კუბლაშვილი, 211).

გამომხატვის თავისუფლების არსებითი ელემენტია ინფორმაციის გავრცელების თავისუფლება. აზრისა და სიტყვის თავისუფლების რეალიზაცია შეუძლებელია ინფორმაციის გავრცელების თავისუფლების გარეშე.

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლი ინფორმაციისა და აზრის თავისუფლებასთან ერთად მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლებასაც ადგენს.

„მედია თანამედროვე საზოგადოების მეტად რთული, სოციალური სისტემის და მისი ქვესისტემის ნაწილია. მთლიანობაში ის უზარმაზარი ცოცხალი ორგანიზმის მსგავსად მოქმედებს. მედია ერთდროულად წარმოადგენს წარმოებას, საზოგადოებრივ სამსახურს და პოლიტიკურ ინსტიტუტს, რაც მას ორპიროვან სტატუსს ანიჭებს“ (ალფაიძე, 44).

მეტად მრავალფეროვანია მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. მას მიეკუთვნება: გაზეთები, ჟურნალები, ტელე-რადიო პროგრამები, კინო დოკუმენტალისტიკა, ინტერნეტი, ინფორმაციული სააგენ-



ტოები, საჯარო ინფორმაციის გავრცელების სხვა საშუალებები. პრესის თავისუფლება ცივილიზებული საზოგადოებისათვის განსაკუთრებული ღირებულების უფლებაა.

კანონმდებლობით გათვალისწინებულია პრესის თავისუფლებასთან დაკავშირებული არამარტო უფლებები, არამედ ვალდებულებებიც. კერძოდ, დაუშვებელია პრესით გავრცელდეს აშკარად მცდარი ცნობები და მონაცემები, სინამდვილის დაფარვა და გაყალბება, გადაუმონმებელი ინფორმაცია, ქორის საფუძველზე, ფანტაზიით შეთხზული ინტერვიუები და ა.შ.

საქართველოს კანონში „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ განისაზღვრა პრესის თავისუფლების სფეროში ჩარევის პროცედურა. კანონის თანახმად, პრესის თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია „მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გათვალისწინებულია ნათელი და განჭვრეტადი, ვინაშთ მიზანმიმართული კანონით და შეზღუდვით დაცული სიკეთე აღემატება შეზღუდვით მიყენებულ ზიანს“ (საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, მუხლი 8).

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საერთო სისტემაში, ბეჭდვით მედიასთან ერთად, საზოგადოებრივ ცხოვრებაზე სულ უფრო მზარდ გავლენას ახდენს ელექტრონული მასმედია — ტელე-რადიო მაუნყებლობები, რომელიც ძირითადად ორი სახისაა: საზოგადოებრივი და კერძო. ელექტრონული მასმედიის სამართლებრივი სტატუსი მონესრიგებულია საქართველოს 2004 წლის 23 დეკემბრის კანონით „მაუნყებლობის შესახებ“.

მიმდინარე წელს საქართველოში განხორციელდა უმნიშვნელოვანესი კომუნიკაციური რეფორმა — ციფრულ მაუნყებლობაზე გადასვლა. ციფრული მაუნყებლობა არის მედიის საქმიანობის გაუმჯობესებული მოდელი. ამ ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა სატელევიზიო ინდუსტრია ძირეულად გარდაქმნა, ღია საეთერო ტელემაუნყებლობა განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა. შესაბამისად, გაფართოვდა საქართველოს მოსახლეობის ინფორმაციული უფლებები.

ადამიანის ინფორმაციულ უფლებათა შორის თანამედროვე პერიოდში მეტად აქტუალურია კომპიუტერული ტექნიკითა და ინტერნეტით სარგებლობის უფლება.

„ახალი ტიპის ტელეკომუნიკაციური ქსელი არის არა უბრალოდ კომუნიკაციის ახალი საშუალება, არამედ კაცობრიობის ცივილიზაციის ადამიანური აქტივობის სრულიად ახალი სფერო“ (ალფაიძე, 149).

რთული ტექნოლოგიური სტრუქტურის გამო მეცნიერულ ლიტერატურაში ინტერნეტს უწოდებენ მსოფლიო ინფორმაციულ აბლაბუდას — World Wide Web (www), რომელიც მოიცავს მრავალრიცხოვან ბაზებსა და მონაცემებს (Ferrera, 210).

დღეისთვის ინტერნეტში თავმოყრილია საქმიანი, ინტელექტუალური ინფორმაცია, ელექტრონული გაზეთები და ჟურნალები, საბაზო მონაცემები საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, ელექტრონული ფოსტა, ბიბლიოთეკების, სახელმწიფო და კერძო სტრუქტურების ინფორმაციული რესურსები. ინტერნეტში არ არსებობს სახელმწიფოთა გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური საზღვრები (Rogers, 69).

უდავოა, რომ ადამიანის უფლება — ისარგებლოს ცოდნის ასეთი უნიკალური ბაზით ფასდაუდებელია. ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის მესამე ელემენტი ითვალისწინებს ინფორმაციის მიღების თავისუფლებას.

გამოხატვის თავისუფლება არ არის უპირობო, აბსოლუტური უფლება. ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს ვალდებულებებს და პასუხისმგებლობას, რომლებიც რამდენადმე ზღუდავენ გამოხატვის თავისუფლების სამართლებრივ ინსტიტუტს.

„შიდასახელნიფოებრივი სამართალი უნდა მოიცავდეს დეტალურ დებულებებს, რომლებითაც დაკონკრეტებულია ამგვარი შეზღუდვები. დებულებები მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული; მათი შინაარსი გასაგები და არაორაზროვანი უნდა იყოს, რათა შეიძლებოდეს მათი ადეკვატური შეფასება და აღქმა. ეს აძლევს საშუალებას მოქალაქეებს იცოდნენ, რა ქმედებებზე ვრცელდება შეზღუდვები“ (კორკელია, ქურდაძე, 205).

სამეცნიერო ლიტერატურაში მართებულად არის აღნიშნული, რომ „თუნდაც ინფორმაცია იყოს აბსოლუტურად კანონიერი და შესაბამისი მტკიცებულებებით გაჯერებული, მისი გავრცელებისას და მით უმეტეს ამ მონაცემებზე დაყრდნობით, საკუთარი პოზიციის დაფიქსირებისას ჟურნალისტმა ან ნებისმიერმა პირმა, რომელიც ავრცელებს ინფორმაციას, უნდა იმოქმედოს სიფრთხილით და გაითვალისწინოს გარე ფაქტორები“ (ჯორბენაძე, ბახტაძე, მაჭარაძე, 88).



საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლი ლაკონურად და ნათლად ადგენს, რომ „ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება“. უპირველეს ყოვლისა, ეს ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ისეთი პირობების შექმნა, რაც შესაძლებლობას მისცემს ადამიანს თავისუფლად განვითარდეს როგორც პიროვნება, გახდეს საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი, მიიღოს განათლება, დაეუფლოს სასურველ პროფესიას, ჰქონდეს იმის გარანტია, რომ მისი სიცოცხლე, ცხოვრება და თავისუფალი საქმიანობა სრულად იქნეს დაცული.

პიროვნების შესახებ პერსონალური მონაცემების რეალიზაცია ასევე სამართლებრივი რეგულირების ობიექტია. აღნიშნულ საკითხს საქართველოში არეგულირებს საქართველოს კანონი „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ (2011 წლის 28 დეკემბერი). მასში მითითებულია, რომ კანონის მიზანია პერსონალური მონაცემების დამუშავებისას უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, მათ შორის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა. კანონის თანახმად, პერსონალური მონაცემი არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობა პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ ეფუძნება ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიის მე-8 მუხლს, რომელიც მიუთითებს, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ფართო და მრავლისმომცველი უფლებაა და მოიცავს პირადი ცხოვრების საიდუმლოებას.

ყველას აქვს უფლება პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მის მიმონერას. ქარტიის მე-8 მუხლი სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას პატივი სცენ ოთხ ინტერესს — პირად და ოჯახურ ცხოვრებას, საცხოვრებელი ადგილისა და მიმონერის უფლებას. ეს ვალდებულება მოიცავს როგორც ნეგატიურ მხარეს — არ შეზღუდონ მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული უფლებები, ასევე პოზიტიურ მხარეს — უზრუნველყონ ამ უფლებებით ეფექტური სარგებლობა.

პერსონალური მონაცემები ადამიანის პირადი ცხოვრების ერთ-ერთი მხარეა. პირადი ცხოვრების უფლება იცავს ყველა ადამიანს პირად ცხოვრებაში არასასურველი ჩარევისაგან. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავად განსაზღვროს პირადი ცხოვრების გარესამყაროსთან ურთიერთობის ფარგლები, მოწყდეს საზოგადოებას და დარჩეს თავის თავთან მარტო, თუ შექმნას ოჯახი.

საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის თანახმად, ადამიანის პირადი ცხოვრება ხელშეუხებელია. პირად ცხოვრებაში ჩაურევლობის სამართლებრივი დაცვა, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის ცხოვრების ინტიმური სფეროს დაცვაა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით პირადი ცხოვრების არასასურველი ფაქტების გავრცელებისას უდიდესი ზიანი ადგება პიროვნების „სულიერ სიმშვიდეს“, მის პატივსა და ღირსებას.

მ. ცაცანაშვილი აღნიშნავს, რომ „ადამიანი ინფორმაციის ერთ-ერთი მთავარი წყაროა, ამავე დროს ინფორმაციის მომხმარებელიც არის, ამიტომ იგი დაინტერესებულია ინფორმაციულ სივრცეში საკუთარი ინფორმაციის ცირკულარიზაციით, რადგან ეს მისი, როგორც „გონიერი არსების“, არსებობის აუცილებელი პირობაა. მაგრამ არის ერთი სახის ინფორმაცია, რომლის ცირკულაციის შეზღუდვისა და კონტროლის სურვილი ყველას აქვს. ესაა პირადი ცხოვრების მონაცემები, რომელიც, ამა თუ იმ მიზეზის გამო, ინდივიდისთვის მგრძნობიარეა“ (ცაცანაშვილი, 2004, 102). გასაგებია, რომ ეს არის პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაცია, რომელიც არ შეიძლება ყველასთვის ხელმისაწვდომი იყოს.

თანამედროვე პერიოდში ადამიანის პერსონალური მონაცემები ტრანსსაზღვრო ნაკადით საერთაშორისო კომუნიკაციების ქსელში გაედინება, ამიტომ, აუცილებელია, ქვეყანაში შეიქმნას ეფექტური საკანონმდებლო ბაზა, რომელიც დეტალურად მოაწესრიგებს ისეთ რთულ და მრავალმხრივ სფეროს, როგორც პიროვნების პერსონალურ მონაცემთა დაცვა არამართლზომიერი, კანონსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან.

2016 წლის დასაწყისში ქართული საზოგადოება აადევნა პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ვიდეო კადრების ინტერნეტით გავრცელებამ. ეს არის ინფორმაციულ სივრცეში ჩადენილი მძიმე დანაშაული, რომელიც ხელყოფს არამართლ ადამიანის პირად ცხოვრებას და უსაფრთხოებას, არამედ უდიდეს

თამარ ალფაიძე

მედია სამართალი

თბილისი
2008

UDC (უაკ) 342.727 (075.8)
ა-534

რედაქტორები:

მარიამ ცაცანაშვილი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი
კახი ყურაშვილი, სამართლის დოქტორი

ISBN 978-99940-68-10-4

© თამარ ალფაიძე. მედია სამართალი. 2008.

www.medialaw.ge

შინაარსი

წინასიტყვაობა 5

შესავალი 7

ნაწილი I. მედია სამართალი როგორც სამართლის დამოუკიდებელი დარბი 17

თავი 1. მედია სამართლის საგანი, მეთოდი და პრინციპები 18

თავი 2. მედია სამართლის ნორმები და მათი შეფარდება 26

თავი 3. მედია სამართლის წყაროები 31

თავი 4. მედია სამართლებრივი ურთიერთობა 36

თავი 5. მედიის ფუნქციები 40

თავი 6. მედიის ტიპები 44

ნაწილი II. მედია და საზოგადოების პოლიტიკური სისტემა 51

თავი 1. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების როლი საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში 52

თავი 2. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების როლი სახელმწიფო ორგანოთა ფორმირებაში 63

თავი 3. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და ხელისუფლების ურთიერთობის პრობლემა 73

თავი 4. სასამართლო ხელისუფლება და მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი 82

ნაწილი III. მედია და სამართლებრივი სივრცე 97

თავი 1. ინფორმაციის თავისუფლება როგორც სამართლებრივი კატეგორია 98

თავი 2. ინფორმაციული საზოგადოება და სამართალი 115

თავი 3. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დაფუძნების ინსტიტუტი 131

თავი 4. ინტერნეტის სამართლებრივი რეგულირება 149

თავი 5. რეკლამის სამართლებრივი რეგულირება 173

| | |
|--|-----|
| ნაწილი IV. სამართლებრივი დაცვის მექანიზმი | |
| მედიის სფეროში | 179 |
| თავი 1. ჟურნალისტის სამართლებრივი სტატუსი | 180 |
| თავი 2. ინტელექტუალური საკუთრების დაცვა მედიის სფეროში | 195 |
| თავი 3. პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვა მედიის სფეროში | 213 |
| | |
| დასკვნა | 235 |
| | |
| დანართი | 245 |
| ნორმატიული აქტები | 246 |
| საქართველოს კონსტიტუცია | 247 |
| საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამონათვის თავისუფლების შესახებ“ | 283 |
| საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“ | 291 |
| საქართველოს კანონი „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ | 333 |
| საქართველოს კანონი „რეკლამის შესახებ“ | 383 |
| საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის რეგლამენტი „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ | 399 |
| კომენტარი საქართველოს კანონზე „სიტყვისა და გამონათვის თავისუფლების შესახებ“ | 423 |
| | |
| РЕЗЮМЕ | 443 |
| SUMMARY | 447 |
| სარეკომენდაციო ლიტერატურა | 449 |

წინასიტყვაობა

„ტექნოლოგიური პროცესების განვითარებამ, ადამიანის ცნობიერებისა და ცხოვრების წესის განსაზღვრის ყველაზე მძლავრ ბერკეტად მასმედია აქცია, ამიტომაც აუცილებელია, რომ მანაც იტვირთოს აღმზრდელობითი ფუნქცია.“

ილია II

აღდგომა ქრისტესი, 2007 წ.

თანამედროვე მსოფლიოში მასობრივი ინფორმაციის საშუალებების განვითარების დინამიურმა პროცესმა და ინფორმაციული სივრცის გლობალიზაციამ არნახულ მასშტაბებს მიაღწია. მედია სულ უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს თითოეული ადამიანისა და მთლიანად საზოგადოების ცხოვრებაში, აქტიურ ზეგავლენას ახდენს სოციალურ პროცესებზე და სახელმწიფო სისტემის დემოკრატიზაციაზე. მასმედიის მიზანდასახულმა განვითარებამ ახალი უნიკალური შესაძლებლობები შექმნა ინფორმაციული საზოგადოების ფორმირების, ადამიანთა განათლების და ჯანსაღი საზოგადოების ჩამოყალიბების სფეროში.

მედია საშუალებების მოღვაწეობის პროცესში წარმოშობილ საზოგადოებრივ ურთიერთობათა არსი და თავისებურებანი აუცილებლად მოითხოვენ სამართლებრივ რეგულირებას, რამაც განაპირობა სამართლის ახალი კომპლექსური დარგის — მედია სამართლის წარმოშობა. მედია სამართალში იურისპრუდენცია და ჟურნალისტიკა მჭიდროდ გადაეჯაჭვა ერთმანეთს, შეავსეს ერთმანეთი და შექმნეს სამართლებრივ ნორმათა მწყობრი სისტემა.

მედია სამართალი შეიძლება დავახასიათოთ როგორც კანონმდებლობის და სამართლის დარგი, როგორც მეცნიერება და სასწავლო დისციპლინა.

მედია სამართლის პერსპექტიული განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება არის სასწავლო სახელმძღვანელოების შექმნა, რაც ხელს შეუწყობს სპეციალისტების ხარისხიან მომზადებას. ჩვენ მიერ წარმოდგენილი სახელმძღვანელო ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში პირველი ცდაა, ამდენად მას არა აქვს სრულყოფილების პრეტენზია. სახელმძღვანელო განკუთვნილია იურიდიული, ჟურნალისტიკის, საერთაშორისო სამართლის, ინფორმატიკის სპეციალობებისა და ფაკულტეტების სტუდენტებისა და დოქტორანტებისათვის, აგრეთვე ყველა დაინტერესებული პირებისათვის.

ვსარგებლობ შემთხვევით და დიდ მადლობას ვუხდით ჩემი სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერ ხელმძღვანელს პროფესორ პაატა ცნობილას, ოფიციალურ ოპონენტებს — იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორ *მარიამ ცაცანაშვილს* და სამართლის დოქტორ *კახი ყურაშვილს*.

ავტორი მადლიერების გრძნობით მიიღებს ყველა დასაბუთებულ შენიშვნას და გაითვალისწინებს შემდგომ მეცნიერულ კვლევაში.

თამარ ალფაიძე
სამართლის დოქტორი

თამარ ალფაიძე

ჰუმანური სამართალი

სამართლის ჰუმანური პრინციპები

ინტერესი სამართლისადმი უხსოვარი დროიდან მომდინარეობს. რა არის სამართალი? საკითხი ყველა ეპოქის მეცნიერებაში ფიგურირებს და მასზე შექმნილია მრავალგვარი და ექსტრაორდინალური თეორია, თუმცა აბსოლუტური ჭეშმარიტების დადგენა დღემდე შეუძლებელი გახდა.

სამართალი ცივილიზებული სამყაროს მრავალმხრივ რთული და სოციალურად ღირებული ფენომენია. სამართლის განვითარებას ახასიათებს საკმაოდ მკაფიო და ობიექტური კანონზომიერებანი. ეს განპირობებულია არა იმდენად იმით როგორი მატერიალური და სურვილი ღირებულებებია მასში გამოხატული, არამედ იმ ადგილში, რაც პოზიტიურ სამართალს უჭირავს პრაქტიკულ ურთიერთობათა რეგულირების სისტემაში, ცხოვრებისეული სიტუაციების "სამართლებრივად" გადაჭრის საშუალებებში. აქ ძირეული საკითხია - როგორი სოციალური რეგულატორი - ჩვეულება, მორალი, კანონი, რელიგიური დოგმები, სხვა იდეოლოგიური პოსტულატები წარმოადგენენ დომინირებულს პრაქტიკულ ურთიერთობათა რეგულირებაში.

სამართალი განიცდიდა მუდმივ განვითარებას. ეს ისტორიის დოკაა. ცივილიზაციის მოთხოვნების შესაბამისად სამართლისა და მისი ფილოსოფიური გააზრების ფაქტი დაკავშირებულია განმანათლებლობის ეპოქასთან (XVII-XXსს), როცა ჩამოყალიბდა სამართლის პროგრესის ინტელექტუალური ბირთვი - ჰუმანური სამართლის ფილოსოფია.¹

ფილოსოფიურ-სამართლებრივი აზროვნების განვითარების წინამძღვრები წარმოიშვა ანტიკურ პერიოდში. მაგრამ როგორც ფილოსოფიური ცოდნის დამოუკიდებელი დარგი ჰუმანური სამართალი ჩამოყალიბდა განმანათლებლობის ეპოქაში - საზოგადოების დემოკრატიული გარდაქმნის პროცესებთან დაკავშირებით.

ჰუმანური სამართალი არის დიდი ისტორიული გარდატეხის თავისუფალი საბაზრო კონკურენტული ეკონომიკის და დემოკრატიული ინსტიტუტების დამკვიდრების პერიოდის მნიშვნელოვანი სურვილ-ინტელექტუალური გამოხატულება.

¹ Michael J. Sandel, *Justice: A Reader*, Oxford University Press, 2007, p. 180

სამართლის ჰუმანური ფილოსოფიის ფორმირების უშუალო წანამძღვარი იყო საზოგადოების გარდაქმნა, რომელიც თავისი პირველადი ისტორიული სახით რეაღიზირებულ იქნა მე-18 საუკუნის ბოლოს ჩრდილო ამერიკის დემოკრატიულ სახელმწიფოებში და საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის კონსტიტუციურ-სამართლებრივ პრინციპებში.

დიდ ბრიტანეთში დემოკრატიულ-სამართლებრივი საწყისი და პარლამენტარიზმი, გამოხატული 1215 წ. "თავისუფლების ქარტიაში" იყო საერთო დემოკრატიული გარდაქმნის წანამძღვრები. ორივე აღნიშნული ისტორიული პროცესი გახდა პირველი ნაბიჯი დემოკრატიის ახალ ისტორიულ პირობებში. პირველი ჩრდილო ამერიკული სახელმწიფოებრიობა რეაღიზირებულ იქნა აშშ 1787 წ. კონსტიტუციაში, რომელმაც განამტკიცა აღრე დეკლარირებული ადამიანის უფლებები და თავისუფლებები. მეორედ ეს უფლებები რეაღიზირებულ იქნა ადამიანის უფლებათა 1789 წლის დეკლარაციაში და საფრანგეთის 1791 წლის კონსტიტუციაში. ამ უკანასკნელში ადამიანის უფლებებთან ერთად თავისუფლების სამართლებრივი საწყისი აიყვანა მაღალ კონსტიტუციურ-სამართლებრივ დონეზე.

ჰუმანური სამართლის კონცეფციის ჩამოყალიბება დაკავშირებულია სამართლის ფილოსოფიის ფორმირებასთან, რომლის ფილოსოფიური და სამართლებრივი ამროვნების კურმინაციური მწვერვალი იყო განმანათლებლობის ფილოსოფიური კრელო, მისი აზრი - თავისუფლება გახდა სამართლის ფილოსოფიის ცენტრალური რგოლი.

იმანუელ კანტმა, პირველმა გერმანელ მეცნიერთა შორის განმართა სამართალი არა უბრალო იურიდიული თავისუფლების მეშვეობით, არამედ თავისუფლების, როგორც ფილოსოფიური კატეგორიის მეშვეობით.²

ბუნებრივად ისმის კითხვა - რა ურთიერთობაა თავისუფლებასა და სამართალს შორის? სამართალი თავისი არსით ისეთი წარმონაქმნია, რომელიც არსებითად არის დაკავშირებული ადამიანთა საზოგადოებასთან, იგი ისტორიულად და დოგმატიკურად არის მოწოდებული იყოს ინსტრუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის თავისუფლების რეაღიზიაციას, ადამიანის ღირსების დაცვას. სწორედ პოზიტიური სამართალი წარმოადგენს ნორმატიულად ღირებულ რეგულატორს, რომლის თვისებაა უპასუხოს სოციალურ მოთხოვნებს, თავისუფლების შემოქმედებით პოტენციალს. სამართლის პოტენციალი, მისთვის დამახასიათებელი დოგმა იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ რთული იურიდიული კონსტრუქციები, სამართლებრივი რეგულირების

² Соловьев Э.Ю. И. Кант: Взаимодополнительность морали и права. — М.: Наука, 1992. С. 216

ტიპები და მექანიზმები შეესაბამებოდნენ რიბერაღური ცივირიზაციის იდეებსა და ღირებულებებს.

საზოგადოებაში არსებული იურიდიული სისტემა არეგულირებს მასში ჩამოყალიბებულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობას მთელი მათი მრავალფეროვნებით, რთული და სიტუაციური სპეციფიკით. ქვეყანაში მოქმედი პოზიტიური სამართალი განსაზღვრავს და უზრუნველყოფს თავისუფლებას.

განმანათლებლობის ეპოქაში ფილოსოფიის კლასიკოსების (განსაკუთრებით კანტის) მიერ ჩამოყალიბებულმა შეხედულებებმა დასაბამი მისცეს ისეთი სოციალური და სამართლებრივი კუდტურის ჩამოყალიბებას, რომელმაც ამ საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრში დააყენა ინდივიდის, ავტონომიური ადამიანის თავისუფლება.

"წმინდაა არა საზოგადოება, არა სახელმწიფო, არა ნაცია, არამედ ადამიანი. პიროვნების, როგორც უმაღლესი ღირებულების ინდივიდის პრინციპი, რომელიც დამოუკიდებელია საზოგადოების, სახელმწიფოს, გარეგანი გარემოცვისაგან" - წერდა ნ.ბერდიაევი.³

კანონმდებლობის განვითარება, პოზიტიური სამართლის მთელი კომპლექსის შექმნა ევროპის ქვეყნებში, ამერიკასა და აზიაში მე-19-20-ე საუკუნეებში ასახავს მრავალპირობიან სურათს, რომელიც მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს, დაწყებული კონსტიტუციური რეგულირებიდან საყოფაცხოვრებო, ოჯახურ ურთიერთობათა იურიდიულ რეგლამენტაციამდე.

ადამიანური თავისუფლების რეალიზაციაში ეფექტური როლი ეკუთვნის კონტინენტური ევროპის, ხოლო შემდგომ მთელ მსოფლიოში სამოქალაქო კანონებს (ე.წ. ნაპოლეონის კოდექსს), 1900 წლის გერმანიის სამოქალაქო დებულებას.

სწორედ სამოქალაქო კანონები არის ის მთავარი ფაქტორი, რომელთა დახმარებით ხდება თავისუფლების, დემოკრატიული და და სამართლებრივი კუდტურის ფაქტობრივად რეალიზაცია მოქალაქეთა ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამასთანავე იურიდიული საშუალებების დახმარებით უზრუნველყოფილი იქნას თანამედროვე თავისუფალი სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება.

სამოქალაქო კანონები გამოსატავს ადამიანთა, კაცობრიობის კუდტურის ფუძემდებლური ინსტიტუტების დებულებებს. სწორედ საფრანგეთისა და გერმანიის,

³ Бердяев Н.А. Самопознание. М. 1991. С. 104

ასევე როგორც სხვა ქვეყნების კანონები პირდაპირი მემკვიდრეები არიან საკაცობრიო კურორტის ერთ-ერთი შედეგის - რომის კერძო სამართლისა. რომის სამართალი არის უნიკალური იურიდიული განძი, რომელიც გამოხატავს დახვეწილ იურიდიულ კონსტრუქციებს, მკაცრ და ზუსტ რექსიკას, მათემატიკურად მწყობრ ფორმულებს და კლასიფიკაციას. სამოქალაქო კანონები გამოირჩეოდნენ გონიერებით, უმეტესობა ძველი რომაული იურიდიული ფორმულისა საკანონმდებლო სამართალშემოქმედების შედეგი კი არ არის, არამედ ძლიერი და ორიგინალური გონიერების ნაყოფია. ანტიკური პერიოდიდან მომდინარე კერძო სამართალი იურისპრუდენციის ისეთი სფეროა, რომელიც უშუალოდ განასახიერებს კურორტის მიღწევებს, სამართლებრივი რეგულირების გონიერებას.

თანამედროვე პერიოდში სამოქალაქო კანონებმა აღიქვეს ათასწლეულობით შემუშავებული იურიდიული მატერიის ტექნიკურ-იურიდიული მხარე და სრულყვეს ის.

თავისუფლება სამოქალაქო სამართლებრივ საზოგადოებაში არის მხოლოდ ერთადერთი წარმონაქმნი, რომელსაც უნარი აქვს პრაქტიკულ ურთიერთობებში ოპტიმალურად განსაზღვროს და დაიცვას ადამიანის უფლებათა საზღვრები, მისი თავისუფლება. ეს არის სამართალი. სამართლის ფენომენი თავისი თვისებებით და ძირეული დოგმით უნარმოსივია შეასრულოს ეს მისია. გონიერ ადამიანთა საზოგადოება უნდა იყოს არამართლ სამოქალაქო, არამედ სამართლებრივიც.

ამრიგად, სამართალი არის არა რალაც მეორეხარისხოვანი, არამედ პირველხარისხოვანი ფენომენი ადამიანთა საზოგადოების ცხოვრებაში. იმ ზომით, რა ზომითაც მსოფრმხედველობაში და ბუნებაში კანონზომიერია გონიერება და გონიერი ადამიანები, თავისუფლებაც კაცობრიობისათვის კანონზომიერი მოვდენაა.

სამართალი წარმოადგენს ადამიანთა არსებობისა და განვითარების მექანიზმის ედემენტს, რომელსაც უნარი აქვს დაძლიოს თავისუფლების ნეგატიური მხარეები, ამასთანავე უზრუნველყოს კაცობრიობის ოპტიმალური ფუნქციონირების პირობები და სტიმულები. ამ განვითარების მექანიზმში სამართალი აუცილებელი, არსებითად მნიშვნელოვანი რგოლია, რომლის გარეშე შეუძლებელია კაცობრიობის პროგრესი. საზოგადოება სამართლის გარეშე, ან საზოგადოება იღუმბიური სამართლით (რომელიც ემსახურება მხოლოდ ხელისუფლებას) უპერსპექტივოა.

ცნობილია, რომ სამართალი არის ადამიანთა ცხოვრების თანამდევნი, ე.ი. სოციალური მოვდენა. ამასთანავე სამართალი შეიძლება განვიხილოთ როგორც ბუნებრივი მოვდენა, რადგან სამართლის ფესვები გადგმულია ადამიანის ბიოსოციალურ ბუნებაში.

მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ადამიანში ჩადებულია "არა მარტო ბიოლოგიური ქცევა, არამედ სხვა "ინსტინქტური პროგრამა" - სურვილი იმისა, რომ იყოს თავისუფალი, ჰქონდეს ქონება, არ მოკვან, არ დააყარა ღონ, არ დაჩაგრონ და ა.შ."⁴

ამრიგად, სავარაუდოა, რომ ადამიანის ბიოსოციოლოგიური მოთხოვნა სამართლისა ორგანულად არის ჩადებული მის ბუნებაში, ისევე როგორც სწრაფვა თავისუფლებისაკენ. თავისუფლება ადამიანთა გარეგან ურთიერთობაში და თავისუფლება მის სუდიერ სამყაროში განსხვავებულია.

სამართალი იცავს ადამიანის თავისუფლებას გარეგანი ურთიერთობის სფეროში, რამდენადაც სამართლის მოქმედების სფერო არის გარეგანი ურთიერთობანი, თავისუფლება ადამიანთა მოქმედებაში.

ადამიანთა სუდიერ სამყაროში კი ბატონობს მორალური კანონი, თავისუფალი მორალური ნება, რომელსაც თვითონ ქმნის. მორალური კანონის ნება ისეთი ხარისხისაა, რომ მას ძალა აქვს არა მარტო ადამიანთა ფართო წრეზე. მორალი ეხება აგრეთვე ადამიანის გარეგან ქცევას, გარეგან თავისუფლებას იმ ზომით, რა მორალური პრინციპები და იდეებია საზოგადოებაში. ისინი ადამიანის შინაგან სამყაროში იძენენ კატეგორიულ ხასიათს.

ყველაზე არსებითი არის ის, რომ სამართალს შეუძლია განსაზღვროს ადამიანთა ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მომენტები, მათ შორის გარეგანი თავისუფლება.

იურიდიულ მეცნიერებასა და პრაქტიკაში დაუფასებელია ბუნებითი სამართლის როლი. თანამედროვე ეპოქაში ბუნებითმა სამართალმა პრინციპულად ახალი შინაარსი მიიღო - თანამედროვე ისტორიული შესატყვისი სოციალური ღირებულებით. ეს არის ადამიანის გონიერებისა და თავისუფლების უმაღლესობა, მისი მაღალი სტატუსი - თანდაყოლილი უფლებები. ბუნებითი სამართალი კაცობრიობის ცივილიზაციის განვითარების ყველა ეტაპზე უცვლელი, აქტიური საფუძველია პოზიტიური სამართლისა. პოზიტიური სამართალი - მოქმედი ფენომენი სურ უფრო მეტად ხდება ადამიანთა ცხოვრებაში გონიერების, ჰუმანური ღირებულების გამოხატულება. იგი მოწოდებულია უზრუნველყოს ადამიანის, როგორც გონიერი არსების თავისუფლება.

კაცობრიობის ცივილიზაციის ყველა ეტაპზე ბუნებითი სამართალი არის უცვლელი და აქტიური საფუძველი პოზიტიური სამართლისა. ამასთანავე, პოზიტიური სამართალი თავისი არსით სურ უფრო მეტად იძენს ადამიანთა ცხოვრებაში

⁴ Michael J. Perry, The Morality of Human Rights, Emory University School of Law, Legal Studies Research Paper Series. No. 13-240, June, 2013 Electronic copy available at: <http://ssrn.com/abstract=2274381>

გონიერების და ჰუმანური ღირებულებების ძაღას. ადამიანის, როგორც გონიერი არსების თავისუფლება, ბუნების უმაღლესი ქმნილებაა.

პოზიტიური სამართლის ძირეული საკითხია - რომელი სოციალური რეგულატორი - ჩვეულება, მორალური, კანონი, რელიგიური დოგმები, იდეოლოგიური ქცევები არის ღმინირებული პრაქტიკურ ურთიერთობაში? სამართლის პოტენციალი ისეთია, რომ იგი წარმოადგენს ღმინანტს ადამიანთა ცხოვრებისეული ურთიერთობის რეგულირებაში.

მე-18-20 საუკუნეებში განმანათლებლობის ეპოქაში სამართლის პროგრესის სულიერ-ინტელექტუალური ფაქტორი და ჰუმანური სამართლის კონცეფცია გახდა ღმინირებული.

ჰუმანური სამართლის ფილოსოფიის ფორმულირების წანამძღვარია საზოგადოების დემოკრატიული გარდაქმნა, რიბერალური ცივილიზაციის მნიშვნელოვანი ერემენტის - ღრმა დემოკრატიული საწყისების დამკვიდრება საზოგადოების ცხოვრებაში. ჰუმანური სამართლის კონცეფციის არსი და ცენტრალური რგორი არის თავისუფლება.

თავისუფლების ცნებაში იგულისხმება ფართო სპექტრი ადამიანური ღირსებისა. თავისუფლება ე.კანტის მოსაზრებით, უპირველეს ყოვლისა "ბუნების ფენომენია". იგი თითოეული ადამიანის ყოფიერების ფუძემდებლური ერემენტია, მისი შემოქმედებისა და ინიციატივის წყარო. ამდენად, კაცობრიობის განვითარების წყაროც არის.⁵

თავისუფლებისადმი ასეთივე მიდგომა აქვს ჰეგელსაც. არსებითი არის ის რომ ჰეგელის აზრით, სამართალი არის ობიექტური რეალობა, რომელშიც თავისუფლებას აქვს აუცილებელი ერემენტის ადგილი.⁶

თავისუფლება თითოეული ადამიანისათვის, რომელიც მას თვით ბუნებისაგან აქვს მინიჭებული უმაღლესი ღირებულებაა, რომელიც არ არის დაკავშირებული არც სქესზე, არც სოციალურ მდგომარეობაზე, საქმიანობასა და ჯანმრთელობაზე, ინტელექტუალურ და სხვა თვისებებზე, არამედ არის უნიკალური გამოვლინება კაცობრიობის ცივილიზაციისა.

სწორედ თავისუფლება, განსაკუთრებით რიბერალური ცივილიზაციის დამკვიდრების პირობებში გამოხატავს ადამიანთა ცხოვრების არსს, მის

⁵ Kant, Immanuel, *The Groundwork for the Metaphysic of Morals*, 189-262. Edited by Thomas E. Hills, Jr. and Arthur Zweig. Copyright © 2002. Reprinted with the permission of Oxford University Press.

⁶ Гегель Г.В.Ф. *Философия Духа // Энциклопедия философских наук*. М. 1977. С. 406

დანიშნუდებას, ყველაზე მნიშვნელოვანს, რაც შეიძლება მისცეს ადამიანებს ნამდვირმა ბედნიერებამ, ცხოვრების სიამოვნებამ და კმაყოფილებამ.

სწორედ სამართადი თავისი არსით წარმოადგენს ისეთ წარმონაქმნს, რომელსაც უნარი აქვს როგორც და რეაღწერდეს იყოს ინსტრუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის თავისუფლების რეალიზაციას, აძლევს მას განსაზღვრულობას, ადამიანურ ღირებულებებს.

რეგულირების რთული იურიდიული კონსტრუქციები, ტიპები და მექანიზმები უზრუნველყოფენ იმ იდეებსა და ღირებულებებს, რომლებიც შეესაბამებიან რიბერაღური ცივილიზაციის იდეებსა და ღირებულებებს. მაგალითისთვის საკმარისია დავასახელოთ, რომ რიბერაღური ცივილიზაციის გადამწყვეტი საწყისი - ნების დართვა/ნებართვა (განსხვავებით ვადღებულებისა და აკრძალვისაგან) განსახიერდება და პრაქტიკულად რეალიზირდება სწორედ პოზიტიურ სამართალში. სწორედ პოზიტიური სამართალი ანიჭებს მას თავისუფლებას.

როცა სივრცე შერწყმულია გონიერებასთან, სურვიერ ღირებულებასთან სამართალმა უნდა უზრუნველყოს საზოგადოების ორგანიზებულობა, მკაცრი წესრიგი, ადამიანთა ჰარმონიური ურთიერთობა. საზოგადოებაში არსებული იურიდიული სისტემა არეგულირებს მასში ჩამოყალიბებულ მრავალგვაროვან, ისტორიულ და სპეციფიკურ და საზოგადოებრივ ურთიერთობებს. რეაღრ სამართლებრივ ცხოვრებაში ადამიანთა თავისუფლება და ადამიანთა უფლებები, სამართლებრივი კუღტურის განვითარება უნდა ემსახურებოდეს პიროვნების სტატუსის ამაღლებას.

იურიდიულ სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სამოქალაქო კანონს. სწორედ სამოქალაქო კანონები არიან მთავარი ფაქტორები, რომელთა დახმარებითაც თავისუფლების იდეა, დემოკრატიული და სამართლებრივი კუღტურის მოთხოვნები რეაღრად განსახიერდება ადამიანთა ყოველდღიური ცხოვრების მრავალფეროვან გამოვლინებაში და ამით იურიდიულად არის უზრუნველყოფილი თანამედროვე თავისუფალი სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება.

სამოქალაქო კანონებში ასახვა ჰპოვა კუღტურის ისეთმა მიღწევებმა, რომელიც გამდიდრებულია გონიერებით. თანამედროვე სამოქალაქო კანონებმა შეითვისა არა მარტო ანტიკურ პერიოდში შემუშავებული ტექნიკურ-იურიდიული მხარე, არამედ შეუსაბამა ის თანამედროვე დროის იურიდიულ დებულებებს.

სამოქალაქო კანონების ღირსება და უნიკალობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მათში ყველაზე მკაფიოდ არის გამოხატული სამართლის ჰუმანური პრინციპები.

სამოქალაქო კანონებს საფუძველი ჩაეყარა ანტიკურ პერიოდში რომის კერძო სამართლის სახით. კერძო სამართალი სამართლის ისეთი ნაწილია, რომელიც ანტიკური პერიოდიდან თითქოს გამზადებული იყო თანამედროვე პერიოდისათვის. კერძო სამართალი ისეთი იურიდიული სფეროა, რომელიც უშუალოდ პირდაპირ განასახიერებს კურტურის მიღწევებს, გონიერების სრულყოფას, ადამიანის თავისუფლების, მისი პირადი უფლებების, პიროვნებისადმი ჰუმანური დამოკიდებულებების სფეროში. ამასთანავე, დემოკრატიულ საზოგადოებაში კერძო სამართალი იურიდიულ სისტემას შესაძლებლობას აძლევს ამაღლდეს ხელისუფლებაზე ზემოთ. კერძო სამართალი სწორედ იმიტომ არის "კერძო", რომ იგი იურიდიულად განამტკიცებს პიროვნების ავტონომიურ, სუვერენულ და თავისუფალ სტატუსს ამ პიროვნების კერძო ცხოვრებაში, ე.ი იმ ჰუმანურ ღირებულებებს, რომელიც აუცილებელია პიროვნების როგორც საზოგადოების დამოუკიდებელი სრულფასოვანი სუბიექტისათვის და რომელსაც კერძო იურიდიული სისტემა საშუალებას აძლევს დაცუდი იყოს სახელმწიფოს თვითნებურობისაგან.

სამოქალაქო კანონები დიდ მისიას ასრულებენ თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებასა და განვითარებაში. თითოეული ავტონომიური ადამიანის თავისუფლება სამოქალაქო სამართლის მეშვეობით ყოველდღიურ ცხოვრებაში მტკიცე საფუძველია პრაქტიკაში თავისუფლების და მთლიანად ცივირიზაციის განვითარებისათვის.

როგორც აღვნიშნეთ, მე-18-20 საუკუნეებში რომანური მოვლენების ჯაჭვში ჰუმანურ სამართალს ჩაეყარა საფუძველი და შესაბამისად, ფილოსოფიურ-სამართლებრივი იდეები არის უფრო მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა ევროპული-სამართლებრივი კურტურის განვითარებაში.

თავისი მაღალი, ღმინირებული თვისებებით და ფუნდამენტური მისიით სოციალურ რეგულირებაში ბუნებითი სამართალი არის პოზიტიური სამართლის საფუძველი. იმ მრავალი უფლებისაგან, რომლებიც განპირობებული არიან ცხოვრების მრავალფეროვანი პირობებითა და მოთხოვნილებებით გამოიყოფა ადამიანის განუყოფელი და თანდაყოლილი უფლებები, რომლებიც წარმოადგენენ ადამიანური ყოფიერების არსს. ეს არის თავისუფლება, სიცოცხლის უფლება, პიროვნების ხელშეუხებლობა, საკუთრების უფლება, სიტყვის თავისუფლება და ა.შ. ამასთანავე, თავისუფლების საფუძველი გახდა ბუნებითი სამართლის მოთხოვნები ადამიანის თანდაყოლილი, განუსხვისებელი უფლებების ინდივიდუალიზაციაში.

სამართლებრივი ცხოვრების ჰუმანიზმი მნიშვნელოვნად არის განპირობებული იმ ჰუმანური ედემენტებით, რომლებიც განმტკიცებულია სამართლის ნორმებში.

ადამიანური ყოფიერების არსი და პოლიტიკურ-სამართლებრივი რეალობის განვითარება, ფილოსოფიურ-სამართლებრივი კონცეფცია ადასტურებს, რომ ადამიანთა ცხოვრებაში სამართალი უნდა შეესაბამებოდეს კაცობრიობის ცივილიზაციის თანამედროვე მოთხოვნებს.

განსაზღვრება "ჰუმანური" სამართალთან მიმართებაში ასახავს საზოგადოების ცხოვრებაში ადამიანურ ღირებულებებსა და ინტერესებს მკაცრად პერსონიფიცირებული მნიშვნელობით.

სამართლის რეალობა, მისი ქმედითობა განსახიერდება კანონიერების მეშვეობით, რომლის არსი კანონების ბუსტი და განუხრედი შესრულებაა. კანონიერება სამართლებრივ სახელმწიფოში ნიშნავს არა ყველა სამართლებრივი ნორმის განხორციელებას, არამედ ჰუმანური სამართლის საწყისების ხორცშესხმას, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის განუსხვისებელი უფლებების განხორციელებას, როგორცაა სიცოცხლის უფლება, საკუთრების უფლება, თავისუფლება და ა.შ. ეს ნიშნავს მთელი იურიდიული სისტემის და პოლიტიკურ-სამართლებრივი ცხოვრების რეალურ -დემოკრატიულ ჰუმანურ საწყისებზე აგებას.

თანამედროვე ჰუმანური სამართლის კონცეფცია განიხილება არა როგორც ფაქტი, არამედ ფაქტიურად არსებული იურიდიული სისტემა ამა თუ იმ ქვეყნისა. ამდენად, იგი არის განსაზღვრული იდეა, მოღვენი, თეორიული სახე.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ისეთ დემოკრატიულად განვითარებული ქვეყნების ეროვნულ სამართლებრივ სისტემებში როგორცაა დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, ნორვეგია, შვეიცარია, ჰუმანური სამართლის თუ ყველა ედემენტი არა, უმრავლესობა მაინც უკვე ჩასახულია, ზოგიერთი მათგანი კი მომწიფებულია. თითოეული ედემენტი შეესაბამება საზოგადოებრივი განვითარების დოგმას. პასუხობს ცივილიზაციის თანამედროვე დონეს.

ამრიგად, თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოების მოთხოვნების შესაბამისი სამართლებრივი კონცეფცია არის ჰუმანური სამართლის კონცეფცია, რომელიც მოწოდებულია საზოგადოებრივი ცხოვრება დაექვემდებაროს ადამიანურ ღირებულებებს, სამართლიანობას, საზოგადოების წევრთა თავისუფალ განვითარებას.

სამართლებრივ სახელმწიფოში კანონიერება უნდა ეფუძნებოდეს ჰუმანური სამართლის პრინციპებს, ადამიანის ბუნებრივ უფლებებს. სამართლებრივმა

ურთიერთობამ უნდა შეიძინოს სამართლებრივი თვისება, უნდა გახდეს ისევე აუცილებელი და კანონზომიერი, როგორც ბუნებაა. ადამიანები ისევე უნდა დაემორჩიონ იურიდიულ კანონებს, როგორც ემორჩილებიან ბუნების კანონებს, რაც მთელი საზოგადოების ჰარმონიული განვითარების საწინდარი იქნება.

ცნობილი ფილოსოფოსი ფ. შედინგი მიიჩნევდა, რომ სამართლებრივი წყობა "მეორე ბუნებაა" როცა თავისუფლება გარანტირებულია წესრიგით, რომელიც ისევე ცხადი და უცვლელია, როგორც ბუნების კანონები".⁷

პოზიტიური სამართალი, რომელიც დაფუძნებულია ადამიანის განუსხვისებელ უფლებებზე არის პრაქტიკული საზოგადოებრივი ურთიერთობების დომინირებული რეგულატორი. იგი არა მარტო პირველია რეგულირების სისტემაში, არამედ უჭირავს მონოპოლიური მდგომარეობა ყველა იმ ცხოვრებისეული სიტუაციების გადაჭრაში, რომლის გარეშე სახელმწიფო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში გაბატონდება ქაოსი და განუკითხაობა.

ჰუმანური სამართლებრივი ფილოსოფიის ღრმა საფუძველს წარმოადგენს ადამიანთა ყოფიერების ბუნებრივ-სამართლებრივი საწყისი, რომელიც კაცობრიობის ცივილიზაციის განვითარების თანამედროვე ეტაპზე გამოიხატება ადამიანის უმაღლეს ღირსებასა და განუსხვისებელ უფლებებში, რომლის არსი გამოიხატება დემოკრატიული საზოგადოების იურიდიულ სისტემაში.

განსაკუთრებულია ჰუმანური სამართლის ისეთი ნიშნები, როგორცაა ადამიანის თავისუფლების იურიდიული გარანტიები, იურიდიული სისტემის კანონიერება, ბრძოლა ძადადობასთან, სამართლიანი მართლმსაჯულება.

ჰუმანური სამართლის პრიორიტეტი საკუთრების დაცვაა. საკუთრება ეკონომიკური თვარსაზრისით არა მარტო მატერიალური სიკეთეა, არამედ აქტიური სამეურნეო საქმე, შრომა და პასუხისმგებლობა. ადამიანის თავისუფლება შეუძლებელია თუ მას არ აქვს საკუთრების უფლება.

სამოქალაქო კოდექსი საქართველოს დემოკრატიული განვითარების ნათელი გამოხატულებაა, რომელშიც ასახულია ჰუმანური სამართლის პრინციპები. სამოქალაქო კოდექსი ზოგადი სახით განამტკიცებს სამოქალაქო კანონმდებლობის ძირითად საწყისებს. მისი თითოეული ნორმა ასახავს ადამიანის თავისუფლებას და მის სამოქალაქო უფლებებს, ჰუმანური სამართლის ფუძემდებლურ პრინციპებს.

⁷ Шеллинг Ф.В. Соч. в 2т. Том I ь М. 1987 С. 458

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის არსებითი თვისება მდგომარეობას იმაში, რომ მისი მთავარი საწყისები ჰუმანური კონცეფციისა გამოხატულია საკანონმდებლო ფორმურებში. არსებითი მნიშვნელობა აქვს კოდექსის ფორმულირებას რომ "საკუთრება ხერხეუხეხევი".

აზუსტებს რა "ქონების" ცნებას, კოდექსი ადგენს, რომ "ქონება, ამ კოდექსის მიხედვით არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობაც, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შექმნაც შეიძლება შეუზღუდავად, თუ კი ეს აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება მნიშვნელოვან ნორმებს".⁸

ეს არის სამოქალაქო კანონმდებლობის ერთ-ერთი ცენტრალური ლოგო.

სამოქალაქო კოდექსის ნორმებში გათვარისწინებულია, ადამიანის სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის რეგულირების ზოგადი თავისებურებანი, სამოქალაქო უფლებების განუხრედი განხორციელება, დარღვეულ უფლებათა აღდგენის მექანიზმები, მათი სასამართლო წესით დაცვა.

ჰუმანური სამართლის პრინციპები ნათლად არის ფიქსირებული სამოქალაქო კანონმდებლობის შემდეგ დებულებებში:

- სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობათა მონაწილეების თანასწორუფლებიანობა, თანაც ისეთი, რომელიც არ არის დამოკიდებული რაიმე ნიშანზე, თანაც არცერთ მათგანს არ აქვს პრივილეგიები;

- სამოქალაქო უფლებების ხერხეუხეხელობა, მათ შორის ფორმულირებისა საკუთრების ხერხეუხეხელობის შესახებ. სამოქალაქო უფლებებით სარგებლობა იმ დონით და აბსოლუტური დაცვით, რაც გათვარისწინებულია კანონით.

- სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეთა ნების იურიდიულად მაღალი დონე (დისპოზიციურობა), რომლის შესაბამისად ისინი ახორციელებენ თავიანთ უფლებებს საკუთარი ინტერესების გათვარისწინებით. კოდექსში განმტკიცებულია უაღრესად მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ფორმულა - გარიგების თავისუფლება, რომელიც არის იურიდიულად უნიკალური გამოხატულება თავისუფლებისა.

აღნიშნული სამი დებულება არის მნიშვნელოვანი დემოკრატიული მონაპოვარი ამა თუ იმ ქვეყნის იურიდიული სისტემისა.

⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხრი 147

თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისათვის მთავარია, რომ ჰუმანური სამართლის პრინციპები მტკიცედ დამკვიდრდნენ იურიდიულ ყოფიერებაში, საზოგადოების რეალურ ცხოვრებაში.

სამოქალაქო კანონმდებლობის გარდა ჰუმანური საწყისები განმტკიცებულია სამართლის სხვა დარგებშიც.

ქვეყნის ძირითად კანონში - კონსტიტუციაში დეკლარირებულია უნიკალური ჰუმანური პრინციპები. კანონის მე-5 მუხრი ადგენს, რომ საქართველოში ხელისუფლების წყაროა ხალხი, რომელიც თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებისა და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით. არავის არ აქვს უფლება მიითვისოს ან უკანონოდ მოიპოვოს ხელისუფლება.

მე-7 მუხრი ადგენს, რომ სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ სრულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვად და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ეს ნორმები არის უმაღლესი გამოსახულება ადამიანური ჰუმანიზმისა, პიროვნების მაღალი სოციალური სტატუსის ნათელი აღიარება.

გარდა ამ მნიშვნელოვანი პრინციპებისა, კონსტიტუციის ნორმებში განმტკიცებულია ადამიანის ფუნდამენტური, განუსხვისებელი უფლებები და თავისუფლებები, კერძოდ: სიცოცხლის უფლება, რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება, კანონის წინაშე ყველას თანასწორობა, პირადი თავისუფალი განვითარების უფლება, პატივისა და ღირსების ხელშეუვალობა, ადამიანის თავისუფლების ხელშეუვალობა, სიტყვის, აზრის, სინდისის თავისუფლება, პირადი ცხოვრების ხელშეუვალობა, საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება, ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლება, საზოგადოებრივ გაერთიანებებში მონაწილეობის უფლება, შრომის თავისუფლება, განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება, ჯანმრთელობის დაზღვევით სარგებლობის უფლება და ა.შ.

ამ უფლებათა და თავისუფლებათა უბრალო ჩამონათვარიც ნათედა ყოფს რამდენადაც სისხლსავსეა ჰუმანური საწყისები ქართულ კანონმდებლობაში.

სამართალი უნიკალური ინსტიტუციური წარმონაქმნია. იგი განხილულ უნდა იქნას "წმინდა სახით", მორალის, ჩვეულების, ეთიკის, ესთეტიკის და სხვა კატეგორიებისაგან დამოუკიდებლად. სამართალს აქვს თავისი მატერია. სამართლის ძალა სწორედ ამ მატერიაში ვლინდება. ეს არის სამართლის იდეა, ფორმა, რომელიც გამოსახულია სამართალი, მისი ღირებულება, როგორც განსაკუთრებული ობიექტური

რეალობისა. ნამდვირი სამართალი არის იქ, სადაც რეაღწევა არსებობს ადამიანის თავისუფლება.⁹

თითოეული ადამიანის თავისუფლება უნდა იყოს სხვა ადამიანის თავისუფლების თანმხვედრი, რადგან ზღვარდაუდებელი თავისუფლება, რომელიც დახმავს სხვა პირის ინტერესებს, არ სარგებლობს სამართლის მხარდაჭერით. პიროვნების თავისუფლების შეთანხმება ყველა სხვა დანარჩენი პიროვნების თავისუფლებასთან იურიდიული მხრივ გამოსატყულებას პოულობს იმ საწყისის რეაღიზაციაში, რასაც ეწოდება "თითოეულს თავისი".

ადამიანის თავისუფლება, მისი განუსხვისებელი უფლებების პრობლემა მწვავე პრობლემაა, რომელიც შეადგენს ადამიანის ცხოვრების არსს, პოლიტიკურ ცხოვრებას, მეცნიერებასა და საზოგადოებრივ ყოფიერებას. როგორ მოხვდა ადამიანის თანდაყოლილი უფლებების რეაღიზაცია იურისპრუდენციის სფეროში? მსოფლიოში შეიმჩნევა ტენდენცია განვითარდეს და გაღრმავდეს ადამიანის უფლებები. ეს იდეა იწვევს ინტელექტუალურ მსოფლმხედველობით ჰუმანურ ინტერესს.

ღიბნარაღური ცივილიზაციის პირობებში მსხვილი სოციალურ-ეკონომიკური, შრომითი, საპენცსიო და სხვა ანარეგული უფლებები იძენენ სურ უფრო მზარდ მნიშვნელობას ადამიანთა ცხოვრებაში. ისინი რეაღიზირებუნი უნდა იქნენ სოციალური პრინციპების საფუძველზე.

სამართალი ერთ-ერთი მექანიზმია, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების რეაღიზაციას იურიდიულ ჩარჩოებში.

უდავოა, რომ კეთილი საქმეა გაფართოვდეს ადამიანის უფლებათა კატალოგი, განსაკუთრებით ჰუმანური მიმართულებით, როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო მასშტაბით, თუმცა აუცილებელია სათანადო ასახვა ჰპოვოს კანონმდებლობაში, რადგან სამართლებრივი რეგულირების გარეშე ეს კეთილშობილური იდეა ვერ განხორციელდება.

ადამიანთა უფლებების სფეროში გამოიყოფა ცენტრალური, განმსაზღვრელი როლი - ინდივიდუალური სურვილი თავისუფლება, მაღალი ზნეობრიობა, მორალური პრინციპები, რომელთა საფუძველზე მიმდინარეობს ზნეობრივი პროგრესი, რომელშიც ეს შემოქმედებითი თავისუფლება პოულობს საუკეთესო პირობებს თავის განხორციელებისთვის. თითოეული ადამიანის უფლება თავისი განუმეორებელი ინდივიდუალურობისაა. დამახასიათებელია, რომ მაღალი სამართლებრივი კუდურის

⁹ Finnis, John M., "Law, Morality, and Sexual Orientation", *Notre Dame Law Review*, 69 (5): 1049, 1062-1076. Copyright © 1994. Reproduces with permission of Notre Dame Law Review

დემოკრატიულ ქვეყანაში ინდივიდუალური უფლებების კონტექსტში განიხილება ადამიანის უფლების ბევრი მხარე.

ეკონომიკური და კულტურული განვითარების მსვლელობაში განუხრედად იბრძება პიროვნების მოთხოვნილებების დონე, მისი თვითშეგნება და თვითღირებულება. ადამიანის განსხვავებული უფლებები, როგორცაა სიცოცხლის უფლება, ადამიანის დამოუკიდებლობა, მისი ღირსება, მისი სოციალური სტატუსი, სამოქალაქო საზოგადოებაში მხოლოდ იურიდიული სისტემისა და წესრიგის მეშვეობით რეალიზირდება, მხოლოდ იურიდიული კატეგორიებით მკვიდრდება ადამიანის ადგილი მთელ სოციალურ სივრცეში.

თუ სამართალს აქვს ღრმა ბუნებრივი ფესვები, ერთ-ერთ მის ბუნებრივ გამოხატულებას სამართლებრივ რეგულირებაში წარმოადგენს ის, რომ კანონის შესაბამისად, მართლმსაჯულების ჩარჩოებში გადაჭრის მის დაქვემდებარებაში მყოფ ყველა საკითხს. ადამიანის უფლებანი ჩანერგილია თვით იურიდიული მატერიის წიაღში, რთულ იურიდიულ მექანიზმებში, რომელიც გამოხატულია იურიდიულ ნორმებში, კანონებში, სამართლის ობიექტურ თვისებებში.

კატეგორია "ადამიანის უფლებები" განიხილება როგორც სამართლებრივი სინამდვილე და მისი მექანიზმი, რომელიც შესაძლებლობას აძლევს ადამიანს იყოს სოციალური ცხოვრების სრულფასოვანი სუბიექტი. "ადამიანის უფლებებში" ასახულია პრინციპები და თავისებურებანი, რაც სამართლის ბუნებას და დოგმას ახასიათებს, ე.ი. ის, რომელიც მოიცავს ვაცობრიობის გონიერი არსებობის პირობას და უჭირავს ამ პრინციპში აუცილებელი, უადტერნატივო ადგილი.

სამოქალაქო საზოგადოებას დიბერალური ცივილიზაციის ეპოქაში ჭირდება არა მარტო იურიდიული სისტემა, რომლის არსი არის არა მარტოვი რეგულირება, არამედ იდეოლოგიური კრედიტ, რომელიც გაჯერებული იქნება ჰუმანური პრინციპებით.

ყოველი სამართალი არის "ხადხის სამართალი". ამ მიმართებაში არის ინსტიტუტი, რომელიც მიმართულია ადამიანის ნებასა და ქცევებზე. სხვადასხვა ტიპის იურიდიული სისტემები მოწოდებულია დაიცვას ადამიანის უფლებები და ამ მიმართებით არ არსებობს სხვა უფრო ეფექტური მექანიზმი, ვიდრე იურიდიული სისტემაა. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ იურიდიული სისტემა ემსახურებოდეს არა ხედისუფლებას, არამედ ხადხს.

საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე უცვლელი რჩება სამართლის, როგორც რეგულირების ფუნქცია, ამასთანავე, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ფუნქცია აუცილებელი საზოგადოებრივი განვითარებისთვის ადამიანის კანონიერი

უფრებებისა და თავისუფლებების დაცვისათვის. ამისთვის სამართადს ესაჭიროება საზოგადოებრივი დისციპლინა, დასჯითი მეტოდების გამოყენება, რომელიც შერწყმულია მორალურ პრინციპებთან და ნორმებთან.

განვითარებული სამოქალაქო საზოგადოების პირობებში ჰუმანური და დემოკრატიული საწყისების გაძლიერებამ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სამართლებრივ მატერიაში იძულებითი მეტოდების შესუსტების თვარსაზრისით. შესაბამისად, წინა პლანზე წამოიწია რეგულირების ზოგადდასაშვებმა მეტოდმა.

ზოგადი დაშვება სამართალში ნიშნავს იმას, რომ მოქმედ იურიდიულ სისტემაში მოქმედებას იწყებს სამართლებრივად დასაშვები ქცევა, მათ შორის მორალურიც. აგრეთვე ის გარემოება, რომ ზოგადი დაშვება დამახასიათებელია იმ ინსტიტუტებისათვის, რომლებიც სამართადს აძლევენ პრინციპულად ახად იერსახეს, "კერძო სამართლის" ნიშნებს, დასაშვებს ხდის წამყვან სამართლებრივ რეგულირებას.

ზოგადდასაშვები უფრება უმნიშვნელოვანესი ნიშანია იმ იურიდიული სისტემისა, რომელიც უნდა დამკვიდრდეს საზოგადოების რიბერალურ დემოკრატიაზე გადასვრის პირობებში. ზოგადდასაშვები უფრება თავისი ფესვებით ეფუძნება ბუნებით სამართადს, კერძოდ იმ ნაწილს, რომელიც ახასიათებს ადამიანს, როგორც დამოუკიდებელ პერსონას. თითოეული ადამიანის პირადი თავისუფრება არის ჭეშმარიტად ჰუმანური მოთხოვნა, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს ყველა იურიდიულ სისტემას.

იურიდიული მეცნიერებისა და პრაქტიკის სამი საკვანძო საკითხია შემდეგი:

- ინსტიტუტები, რომლებიც უზრუნველყოფენ სამართლის საყოველთაობას;
- ინსტიტუტები, რომლებიც უზრუნველყოფენ პიროვნების მაღალ საზოგადოებრივ სტატუსს;
- იურიდიული რეგულირების სახელშეკრულებო მეტოდი.

სამივე საკვანძო საკითხი სრულყოფილებას აღწევს რიბერალური დემოკრატიის პირობებში, თუმცა მათ შორის უპირატესობა ეძლევა ინსტიტუტებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ადამიანის უფრებებისა და თავისუფრებების დაცვას. ადამიანის უფრებების დაცვა გამოსატური უნდა იყოს სამართლის ნორმებში, ინსტიტუტებში, პოზიტიური სამართლის სტრუქტურულ კომპლექსებში, მექანიზმებში, მეცნიერულ კონცეფციებში, რეგულირების სისტემაში.

ადამიანის დამოუკიდებლობის ჩარჩოებში შესაძლებელია რეალიზირებული იქნას ის გადამწყვეტი პირობა, რაც აუცილებელია სამართლის ზოგადი დასაშვები ბუნებისათვის - პიროვნების სამართლებრივი სტატუსის ამაღლება.

დემოკრატიულად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ის საზოგადოება, რომელიც თავის ფესვებში ინახავს რესურსს, მოქალაქეების უფლებების დაცვისთვის. ამ უფლებათა შორის ფუნდამენტურია სიცოცხლისა და საკუთრების უფლება. უფლება ფლობდეს ქონებას, იყოს მესაკუთრე, რომელიც მოქალაქეს მისცემს საშუალებას უზრუნველყოს მისი დამოუკიდებლობა ყველა საზოგადოებრივი წყობისთვის მნიშვნელოვანი და აქტუალურია.

საყურადღებოა დიდი გერმანელი ფილოსოფოსის ე.კანტის შეხედულებანი სამართალზე. იგი წერს: "სამოქალაქო წყობა განსახიერებელი სამართალში წარმოადგენს ადამიანთა შორის გარეგანი ურთიერთობის უსიტყვო და პირველად მოვადგობას".¹⁰

მეორე ადგილას კანტი მიუთითებს, რომ "სამართალი ადამიანებისათვის არის მოვადგობა და იმედი, ხორც თვითონ სამართალი არის უმაღლესი პრინციპი, რომრიდანაც უნდა გამომდინარეობდეს ყველა მაქსიმი, რაც საზოგადოებას ეხება".¹¹

და ბოლოს, სამართალი როგორც მას ხედავს ფილოსოფოსი არის "ყველაზე წმინდა, რაც ღმერთს აქვს შექმნილი დედამიწაზე".¹²

სამართლის აზრი, რომელიც გამომდინარეობს მისი, როგორც ობიექტური გონიერების ყოფიერებიდან და მისი, როგორც ადამიანის უფლებების დახასიათებიდან და რომ სამართლის მეშვეობით მკვიდრდებოდა ადამიანებისათვის ყველაზე დიდი სიკეთე - თავისუფლება, უდავო ჭეშმარიტებაა.

ამრიგად, თანამედროვე რიბერაღურ-დემოკრატიული საზოგადოება ნოყიერ ნიადაგს ქმნის სამართალში ჰუმანური საწყისების დამკვიდრებისა და განვითარებისათვის. კაცობრიობამ ბევრი ქარცეცხლი გადაიტანა, სანამ ამ მდგომარეობამდე მივიდოდა. ჰუმანური სამართლის ჩამოყალიბება და განვითარება ამა თუ იმ ქვეყანაში ბევრად არის დამოკიდებული ჩვენს პრანეტაზე დემოკრატიის განვითარებაზე.

ამჟამად, საქართველო მტკიცედ დგას სახერმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციის გზაზე, რაც ჰუმანური სამართლის პრინციპების

¹⁰ Кант И. Соч. в 6 т. Т. 3. М. 1964. С. 280,

¹¹ იქვე, გვ. 281

¹² იქვე, გვ. 287

დამკვიდრებისა და განვითარების მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს. ჰუმანური სამართლის კონცეფციას ახად სიცოცხდეს მიანიჭებს მოქადაქეთა ნება და შეგნება, კანონმდებლობის ცივილიზებული განვითარება, სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელება, იურიდიული დონის განვითარების ამაღლება და სრულყოფა.

სწორედ ჟურნალისტიკა უზრუნველყოფს მსოფლიოში არსებული უზარმაზარი ინფორმაციული ნაკადის რეგულირებას, ადამიანებამდე მიაქვს სოციალურად მნიშვნელოვანი ცოდნა, ცნობები, იდეები გარემომცველი სამყაროს შესახებ.

ჟურნალისტი მასობრივი ინფრასტრუქტურის მთავარი სუბიექტია. მისი სამართლებრივი სტატუსი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების სტატუსითაა განსაზღვრული. თუ მასმედიის მუშაობაში ძირითადია აუდიტორიისათვის ყველაზე ახალი, ობიექტური და სრული ინფორმაციის მიწოდება, ჟურნალისტიკისათვის აუცილებელია – მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია. სწორედ ეს ძირითადი უფლება ფიგურირებს ჟურნალისტიკის სამართლებრივ

სტატუსსა და პროფესიულ საქმიანობაში.

ჟურნალისტიკის უფლება-მოვალეობათა სრულყოფილი რეგლამენტაცია დროის მოთხოვნაა, თუმცა როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, მასმედიის შესახებ კანონმდებლობაში განვითარებული დემოკრატიის ქვეყნებშიც არ არის სპეციალური იურიდიული ნორმები, რომლებიც სათანადოდ განამტკიცებენ ჟურნალისტიკის განსაკუთრებულ უფლებებს და სოციალურ როლს.

ანალოგიური სურათია ჩვენს ქვეყანაშიც. ძირითადი ნორმატიული აქტი, რომელიც განსაზღვრავდა ჟურნალისტიკის სტატუსის სამართლებრივ კონსტრუქციას, იყო საქართველოს 1991 წლის 10 აგვისტოს კანონი „პრესისა და მა-

სობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ.“ იგი ძალადაკარგულად ცნო „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონმა.

2003 წლის 14-15 მაისს საქართველოში ევროსაბჭოს ეგიდით მოეწყო სემინარი თემაზე „მედიის თვითრეგულირების მექანიზმის ჩამოყალიბება საქართველოში“. სემინარზე ქართული მასმედიის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს დოკუმენტს, რომლის სახელწოდებაცაა „მედიის პროფესიული სტანდარტი“.1 ჟურნალისტური ეთიკის პრინციპებზე მუშაობა საქართველოში დიდი ხნის მანძილზე მიმდინარეობდა.

ევროპის საბჭოს ექსპერტი მარიო ოთჰეიმერი მიიჩნევს, რომ



მედის თვითრეგულირების ისეთი მექანიზმების ამოქმედება, როგორცაა პრესის საბჭოები, საგრძნობლად განტვირთავს სასამართლოებს მედიასთან დაკავშირებული დავებისაგან.

მიუხედავად იმისა, რომ თვითრეგულირების მექანიზმები ნებაყოფლობითი ხასიათისაა და ჟურნალისტთა კეთილ ნებას ეფუძნება, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ამ გზით ნებისმიერი საკამათო საკითხის, ასევე მკითხველთა საჩივრების განხილვა და რეგულირება გაცილებით ნაკლებ დროსა და მატერიალურ რესურსს საჭიროებს.

„მედის პროფესიული სტანდარტი“, იგივე მედიის ეთიკური კოდექსი, რა თქმა უნდა, არ არის სავალდებულო ძალის დოკუმენტი და იგი რეგულირების გარეშე ტოვებს მთელ რიგ საკითხებს, რაც დაკავშირებულია ჟურნალისტურ საქმიანობასთან. აღნიშნული დოკუმენტი მოცულობით მცირეა და სრულად არ მოიცავს ჟურნალისტური საქმიანობის დახასიათებას. არ განსაზღვრავს ვინ არის ჟურნალისტი, მითითებულია მხოლოდ ჟურნალისტის მოვალეობაზე – საზოგადოებას მიაწოდოს ამომწურავი, მიუკერძოებელი და უტყუარი ინფორმაცია, რომ იგი მოვალეა, საზოგადოების წინაშე ნაკისრი ვალდებულების შესრულებისას დაიცვას პროფესიული სტანდარტით დადგენილი წესები.

ზოგიერთ ცივილიზებულ ქვეყანაში ჟურნალისტთა სტატუსი განსაზღვრულია სწორედ ასეთი სტანდარტებითა და ქცევის კოდექსებით. მსოფლიო ინტელექტუალური თანამეგობრობისათვის ნათელია, რომ ჟურნალისტური საქმიანობის პრინციპები

და დეონტოლოგიური ნორმები უნდა გამოდინარეობდეს მხოლოდ ჟურნალისტებისაგან. პროფესიულად სწორი მეთოდები წარმოადგენს ჟურნალისტური საქმიანობის ეფექტურ გარანტიას. მაგრამ როგორია პროფესიულად სწორი მეთოდები? შეიძლება თუ არა, ეთიკის კოდექსებმა უზრუნველყოს ჟურნალისტური საქმიანობის ესოდენ მნიშვნელოვანი და თავისებური სფეროს რეგულირება? რა თქმა უნდა, მონინავე დემოკრატიული ქვეყნების გამოცდილების გაზიარება მიზანშეწონილი და სასარგებლოა, მაგრამ არამიზანშეწონილად მიგვაჩნია სხვა ქვეყნების პრაქტიკული გამოცდილების შაბლონური გადმონერგვა ჩვენს ქვეყანაში.

გასაგებია, რომ ცივილიზებულ ქვეყნებში, სადაც დემოკრატიული ინსტიტუტები მყარია, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება თითქმის დამთავრებულია და კანონმდებლობა დახვეწილი, საკმარისია ჟურნალისტის პროფესიული სტანდარტები და ქცევის კოდექსები მასმედიასა და საზოგადოებას შორის წარმოშობილი ურთიერთობის რეგულირებისათვის. საქართველოში კი, რომელიც იმყოფება დემოკრატიული გადრეკილების და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების სტადიაზე, ნაჩქარევად მიგვაჩნია ჟურნალისტის სტატუსის ამოგდება სამართლებრივი სივრციდან. პროფესიული სტანდარტები და ეთიკური ნორმები საკმარისი არ არის ჟურნალისტთა უფლება-მოვალეობების განსაზღვრისათვის, აუცილებელია ჟურნალისტის სტატუსის სამართლებრივი რეგლამენტაცია.

საქართველოს პარლამენტმა 2004 წლის 23 დეკემბერს მიიღო

საკმაოდ ვრცელი კანონი „მაუნყებლობის შესახებ“, 2005 წლის 2 ივნისს კი კანონი „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“. თუ აუცილებელია სიტყვისა და გამოსატვის თავისუფლების, ასევე მაუნყებლობის და ელექტრონული კომუნიკაციების სამართლებრივი რეგულირება, აუცილებელია ჟურნალისტის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრაც, პრესის შესახებ კლასიკური კანონის შემუშავება და მიღება.

ჟურნალისტის სტატუსის საკანონმდებლო რეგლამენტაცია არ ეწინააღმდეგება „პროფესიული სტანდარტის“ და ეთიკის კოდექსის დებულებებს, პირიქით შეავსებს მათ და მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს იმ პრობლემების აღმოფხვრას, რაც არსებობს მასმედიასა და საზოგადოებას შორის.

ჟურნალისტი არის პირი, რომელიც აგროვებს, ქმნის, რედაქციას უკეთებს და ამზადებს მასალებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოსაქვეყნებლად. საამისოდ მას აქვს სათანადო რწმუნება ან არის ჟურნალისტთა რეგისტრირებული კავშირის წევრი და თავის საქმიანობისას ხელმძღვანელობს ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ განსაზღვრული პრინციპებით.

2000 წლის 8 მარტს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო რეკომენდაცია სათაურით – „ჟურნალისტების უფლება არ გაამყვანონ ინფორმაციის წყაროები“. აღნიშნულ რეკომენდაციას თან ახლავს დანართი, რომლის თანახმად, ჟურნალისტი ნიშნავს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც

რეგულარულად ან პროფესიულად ჩართულია საზოგადოებისათვის ინფორმაციის შეგროვებასა და გავრცელებაში მასობრივი საშუალებების მეოხებით.

„მედიის პროფესიულ სტანდარტში“ აღნიშნულია, რომ ჟურნალისტის პროფესია შეუთავსებელია აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობასთან, სარეკლამო თუ საზოგადოებასთან ურთიერთობის და სპეციალურ სამსახურებში თანამშრომლობასთან, აგრეთვე სხვა საქმიანობასთან, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს ჟურნალისტისა და ჟურნალისტის პროფესიის სანდოობა.

ჟურნალისტის სამართლებრივ სტატუსში შერწყმულია სამი კომპონენტი: ჟურნალისტის პროფესიული საქმიანობის შემოქმედებითი ხასიათი, საჯარო სამსახურის ელემენტები (public service), ჟურნალისტსა და რედაქციას შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის სპეციფიკა. გარდა ამისა, ჟურნალისტის სამართლებრივი სტატუსის ფარგლებში რეალიზდება ის განსაკუთრებული სოციალური როლი, რომელიც ჟურნალისტს აკისრია სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე.

მაორა კითხვა:

რა უფლებებით სარგებლობს ჟურნალისტი?

ჟურნალისტის სამართლებრივი სტატუსი მისი უფლება-მოვალეობების კომპლექსია, რომელშიც შეიძლება გამოვყოთ სამი ჯგუფი:

- ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობანი;
- ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობანი;
- მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმიანობასა და გავრცელებასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობანი.

თავისი პროფესიის სპეციფიკა საშუალებას აძლევს ჟურნალისტს, ისარგებლოს ისეთი უფლებებით, რაც მიუწვდომელია სხვა მოქალაქეებისთვის. ჟურნალისტის უფლება-მოვალეობანი, რომლებიც რეალიზდება ინფორმაციის მოძიებასა და შეკრების პროცესში, შემდეგია:

- უფლება, მოიძიოს, მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია; მოითხოვოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოებისგან, სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანიზაციების, საზოგადოებრივი გაერთიანებებისა და მათი პრესსამსახურებისგან ინფორმაციის მიწოდება; თავისი მოვალეობის შესრულებისას ნებისმიერ დაწესებულებასა და ორგანიზაციაში შესვლის,

თანამდებობის პირებთან შეხვედრის უფლება; უფლება, ხელი მიუწვდებოდეს დოკუმენტებსა და მასალებზე, გარდა იმ ფრაგმენტებისა, რომლებიც შეიცავს სახელმწიფო, კომერციულ და კანონით სპეციალურად დაცულ საიდუმლოებას; დოკუმენტებისა და მასალის ასლების გადაღების უფლება, საავტორო უფლებისა და ინტელექტუალური საკუთრების უფლების გათვალისწინებით; ჩანერის უფლება, მათ შორის აუდიო და ვიდეოტექნოლოგიური საშუალებების გამოყენება, კინო და ფოტო გადაღებები, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, როცა ეს აკრძალულია კანონით; უბედური შემთხვევების, ავარიებისა და კატასტროფების, მასობრივი არეულობების, მოქალაქეთა მასობრივი თავშეყრის ადგილებში, სპეციალურად დაცულ ზონებში შესვლის უფლება, აგრეთვე იმ ადგილებში შესვლის უფლება, სადაც გამოცხადებულია საგანგებო მდგომარეობა, მიტინგებსა და დემონსტრაციებზე დასწრებისა და მათი გაშუქების უფლება; შემოსული მასალების საიმედოობის შემოწმების უფლება; ავტორობის საიდუმლოების შენახვის უფლება;

- მოვალეობა დააკმაყოფილოს პირთა თხოვნა ინფორმაციის წყაროების დასახელებისა, მიუთითოს ციტირებული გამოთქმების ავტორებზე,

თუ ციტატა პირველად ქვეყნდება; მოვალეობა დაიცვას ინფორმაციისა და მისი წყაროების კონფიდენციალობა; მოვალეობა მოქალაქეებისა და თანამდებობის პირებისგან ინფორმაციის მიღების დროს აცნობოს მათ აუდიო-ვიდეო ჩანაწერების, კინო და ფოტოგადაღებების ჩატარების შესახებ; მოვალეობა თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელების პერიოდში პირველი მოთხოვნისთანავე წარადგინოს რედაქციის მოწმობა ან სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ჟურნალისტის პიროვნებასა და უფლებამოსილებას.

მეორე ჯგუფს მიეკუთვნება უფლება-მოვალეობანი, რომლებიც რეალიზდება ჟურნალისტის მიერ აუდიტორიისთვის ინფორმაციის გადაცემის პროცესში:

- ინფორმაციის გავრცელების უფლება; უფლება, გამოაქვეყნოს, გადმოსცეს ან სხვა საშუალებებით ასახოს დოკუმენტები და მასალა ისე, რომ არ დაირღვეს ავტორისა და სხვა განსაკუთრებული უფლებები (ინტელექტუალური საკუთრების უფლება); გამოთქვას თავისი პირადი მოსაზრება და შეფასება ცნობებსა და მასალებში, რაც გათვალისწინებულია მასმედიაში გავრცელებისთვის; მოხსნას თავისი ხელმოწერა ცნობისა და მასალის ქვეშ, რომელთა შინაარსი, მისი აზრით, დამახინჯებულია რედაქციული დამუშავების დროს; გაავრცელოს მის მიერ მომზადებული ცნობა ან

მასალა თავისი ხელმოწერით, ფსევდონიმით ან ხელმოწერადად;

- მოვალეობა, შეამოწმოს მიღებული ინფორმაციის საიმედოობა; მოვალეობა მიიღოს თანხმობა, მასმედიაში გაავრცელოს ცნობები მოქალაქის პირადი ცხოვრების შესახებ, პირადად მისგან ან მისი კანონიერი წარმომადგენლისგან (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს აუცილებელია საზოგადოებრივი ინტერესების დასაცავად); იმ ცნობებისა და მასალების გავრცელების უფლება, რომლებიც მომზადებულია ფარული აუდიო და ვიდეო ჩანაწერების გამოყენებით, კინო და ფოტოგადაღებით.

მესამე ჯგუფს მიეკუთვნება ჟურნალისტის უფლება-მოვალეობანი, რომლებიც რეალიზდება რედაქციის შიგნით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოშვების პროცესში:

- ჟურნალისტის უფლება, უარი თქვას იმ ცნობებისა და მასალების მომზადებაზე, რომლებიც ეწინააღმდეგება მის მრწამსს;
- ჟურნალისტის მოვალეობა, დაიცვას იმ რედაქციის წესდება, რომელთანაც ის თანამშრომლობს; საქმის კურსში ჩააყენოს მთავარი რედაქტორი მომზადებული ცნობების ან მასალების გავრცელებასთან დაკავშირებით; უარი თქვას მთავარი რედაქტორის ან რედაქტორის დავალებაზე, თუ მისი შესრულება დაკავშირებულია კანონის დარღვევასთან;

აღნიშნულ უფლება-მოვალეობათა კომპლექსი ჟურნალისტის სამართლებრივი სტატუსის ქვაკუთხედი. ისინი მთლიანობაში უზრუნველყოფენ ჟურნალისტზე დაკისრებული სოციალური ფუნქციის განხორციელებას, რომელიც უმთავრესად ინფორმაციასთან არის დაკავშირებული. ჟურნალისტს აქვს მნიშვნელოვანი უფლება, შეამოწმოს მისთვის ცნობილი ინფორმაციის საიმედოობა. მეორე მხრივ, იგი მოვალეა ინფორმაციის გავრცელებამდე დარწმუნდეს მის უტყუარობაში. ეს ფაქტიურად ნიშნავს იმას, რომ ჟურნალისტი პასუხს აგებს მის მიერ მომზადებული და გავრცელებული თითოეული სიტყვისთვის, რომელიც მოცემულია სტატიაში ან გამოცხადებულია ტელე-რადიომაუწყებლობით.

თუ ჟურნალისტს მივიჩნევთ, როგორც შუამავალ პირს მოქალაქის უფლების რეალიზაციაში – მოიპოვოს ინფორმაცია, ნათლად შეიძლება განისაზღვროს მისი ადგილი შემდეგ ჯაჭვში: „ფაქტი – ინფორმაციის წყარო – ჟურნალისტი – აუდიტორია.“ როცა ჟურნალისტი არის მოვლენის უშუალო მხილველი, იგი ვალდებულია, „ზუსტად და კეთილსინდისიერად გადასცეს აუდიტორიას ის, რაც ნახა და მოისმინა.“ სწორედ ასე არის ფიქსირებული დეკლარაციაში ჟურნალისტთა ქცევის პრინციპების შესახებ, რომელიც დამტკიცებული იქნა ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ: „ამუქებს რა მოვლენებს, ჟურნალისტი მოვალეა, დაეყრდნოს მხოლოდ ფაქტებს, რომლებიც დადგენილია პირადად მის მიერ.“² აქედან გამომდინარეობს ჟურნალისტის მოვალე-

ობა – შეამონმოს ის ინფორმაცია, რისი მონმეც უშუალოდ თვითონ არ არის, რადგან ხშირ შემთხვევაში მისთვის აუცილებელ ცნობებს ლებულობს სხვა წყაროებიდან. ინფორმაციის შემონმება იმ პრინციპს წარმოადგენს, რომელიც შესაძლებლობას აძლევს ჟურნალისტს, მოითხოვოს პასუხი დასმულ კითხვაზე, მიმართოს სახელმწიფო ორგანოებსა და ორგანიზაციებს, თანამდებობის პირებს, გაეცნოს დოკუმენტებსა და მასალებს, ჩაინეროს, მივიდეს სტიქიური კატასტროფის ადგილზე და ა. შ.

ამდენად, გასაავრცელებელი ინფორმაციის ყოველმხრივი შემონმება ჟურნალისტის არა მარტო უფლებაა, არამედ მოვალეობაც, რაც თავის მხრივ საფუძვლად უდევს ჟურნალისტის სოციალურ პასუხისმგებლობას. მოპოვებული ინფორმაციის შემონმება ჟურნალისტის მოვალეობა ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი აუდიტორიას აცნობებს იმ ფაქტისა და მოვლენების შესახებ, რომლის უშუალო მონმე თვითონ არ არის. ასეთ შემთხვევაში ის თავის თავზე იღებს მხილველის როლს (თუმცა სინამდვილეში არ არის თვითმხილველი) და როგორც მხილველი ვალდებულია, უპასუხოს მისთვის ცნობილი ინფორმაციის საიმედოობაზე. ინფორმაციის საიმედოობის შემონმება ზოგჯერ გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ჟურნალისტს ყოველთვის არა აქვს შესაძლებლობა, დარწმუნდეს ამა თუ იმ ფაქტის უტყუარობაში. მოკვლევის, გამოძიების, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოებისგან განსხვავებით ჟურნალისტს არ შეუძლია ჩაატაროს რაიმე სახის

ექსპერტიზა, მოახდინოს დაპირისპირება და სხვა საგამომძიებლო მოქმედება ჭეშმარიტების დასადგენად. მაგრამ ჟურნალისტი ვალდებულია, ნებისმიერ სიტუაციაში განახორციელოს ყველა ღონისძიება ინფორმაციის საიმედოობის დასადასტურებლად, ვინაიდან დემოკრატიულ სახელმწიფოში საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების პროცესი მხოლოდ მაშინ შეიძლება ნორმალურად და გონივრულად განვითარდეს, როცა იგი ნამდვილ ფაქტებსა და ინფორმაციას ეყრდნობა.

ბუნებრივია, ჟურნალისტი პასუხს არ აგებს იმ ცნობების გავრცელებისთვის, რომლის წყარო ცნობილია და იმსახურებს ნდობას, კერძოდ, თუ ცნობებს შეიცავდა ოფიციალური ინფორმაციები, თუ ისინი მიღებულია საინფორმაციო სააგენტოების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების პრესსამსახურებისგან, თუ ისინი სიტყვა-სიტყვით იმეორებს სხვადასხვა ოფიციალურ თავყრილობაზე პასუხისმგებელ პირთა გამოსვლებს, თუ ასეთი ცნობები იყო გამოსვლებში, რომლებიც ეთერში გავიდა წინასწარი ჩანერის გარეშე ან ტექსტებში, რომლებიც ექვემდებარება რედაქტირებას.

მასაჲ კითხვა:

რას ნიშნავს ინფორმაციის წყარო და მისი დასვის საიდუმლოება?

ინფორმაციის წყაროს დიდი მნიშვნელობა აქვს ჟურნალისტური საქმიანობისთვის. ზოგჯერ წყარო გაცხადებულია და არავისთვის არ არის საიდუმლო, ზოგჯერ კი ფარულია და ამდენად – საიდუმლო. ჟურნალისტი მოვალეა, საიდუმლოდ შეინახოს წყარო, თუ ამას მოითხოვს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესები. ეს ერთ-ერთი პროფესიონალური პრინციპია, რომლის არსი მდგომარეობს შემდეგში: საზოგადოებრივი თავისუფლების მონაპოვრად მიჩნეულია ის, რომ ადამიანებს უმტკივნეულოდ შეიძლება ეცნობოს სოციალურად მნიშვნელოვანი საგნებისა და მოვლენების შესახებ მედიის მეშვეობით, ამასთანავე მედიაში გააშუქონ სათანადო მოვლენები, ჩაებან დისკუსიაში, გამოთქვან საკუთარი აზრი და ა. შ. ამასთანავე, ინფორმაციის დაცვის ინსტიტუტი ავალდებულებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების რედაქციებსა და მათ თანამშრომლებს, საიდუმლოდ შეინახონ მოქალაქეებისაგან მიწოდებული ინფორმაცია, არ გამოაქვეყნონ პერსონალური მონაცემები, რომლებიც იძლევა ავტორის პიროვნების იდენტიფიკაციის შესაძლებლობას.

„პროფესიული საიდუმლოების წყარო დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით და არავის არა აქვს უფლება მოითხოვოს ამ ინფორმაციის გამხელა“ –

განსაზღვრავს ცივილიზებული საზოგადოების წარმატებას. საზოგადოება, რომელიც ინფორმაციის თავისუფლებასა და ხელმისაწვდომობას სოციალურ ღირებულებად მიიჩნევს, ხოლო ხელისუფლება თავისი საქმიანობის ერთ-ერთ პრინციპად აღიარებს, დაცულია პოლიტიკური თუ სოციალური კატაკლიზმებისგან.

„დემოკრატია მოქალაქეთა უფლების გარეშე, იცოდნენ – ფარსია. მოქალაქის უფლება იცოდნენ პროცედურის გარეშე – ბლეფია. პროცედურები მოქალაქეთა გარეშე, რომლებიც ისწრაფიან იცოდნენ – ტრაგედიაა“ – ასეთი ტევადი პოსტულატი ბევრის მთქმელია.

ასეთივე აზრია ჩაქსოვილი აბრამ ლინკოლნის ბრძნულ სიტყვებში – „მიეცით ხალხს შესაძლებლობა, იცოდეს ფაქტები და ქვეყანა უსაფრთხო იქნება.“ ამ სიტყვების ჭეშმარიტება ცხოვრებამ დაადასტურა. ამიტომ არის, რომ ნორმები ინფორმაციის თავისუფლებისა და ხელმისაწვდომობის შესახებ მრავალი საერთაშორისო კონვენციითა და დეკლარაციით არის განმტკიცებული, რომელთა ნებისმიერი სახით ხელყოფას დემოკრატიულ სახელმწიფოთა თანამეგობრობა განიხილავს როგორც მთლიანად ცივილიზებული სამყაროს წინააღმდეგ მიმართულ ქმედებას.

ინფორმაციის მისაწვდომობასთან მიმართებაში საქართველოს კანონმდებლობა არ ცნობს არავითარ პრიორიტეტულ უფლებას და ყველა მოქალაქეს ანიჭებს შესაძლებლობას – შეუფერხებლად მიიღოს მისთვის საჭირო ინფორმაცია, მიუხედავად

ამისა, რეალურად ინფორმაციის ძირითადი მასა ჟურნალისტებზე მოდის და ჟურნალისტისა და საზოგადოების ურთიერთობის ხასიათს განსაზღვრავს.

მასმედია და ჟურნალისტები წარმოადგენენ შუამავლებს სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სფეროში. ამ მოვალეობის შესასრულებლად კანონმდებლობა ჟურნალისტებს ანიჭებს განსაკუთრებულ უფლებას – მოიძიონ, მიიღონ და გავრცელონ ინფორმაცია. ამ უფლების რეალიზაციის პროცესში ჟურნალისტები ხშირად აწყდებიან პრობლემებს იმის გამო, რომ არ არსებობს ინფორმაციის მიღების სრულყოფილი სამართლებრივი მექანიზმი. ერთი მხრივ, ეს სავსებით გასაგებია, რადგან საქართველოში დღეისათვის არ არსებობს სპეციალური კანონი „ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ“. მეორე მხრივ, ამ ხარვეზს ავსებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, რომელიც შეიძლება დეტალურად არ არეგულირებს ინფორმაციის მიღების სრულ მექანიზმს, მაგრამ ითვალისწინებს მის ცალკეულ ელემენტებს.

რამდენადაც დემოკრატიულ საზოგადოებაში ინფორმაციის ხელმისაწვდომობა პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჰარმონიული ურთიერთობის მნიშვნელოვანი პირობაა, აუცილებელია არსებობდეს სპეციალური კანონი „ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ“, რომელშიც დეტალურად იქნება განმტკიცებული „ინფორმაციის მოძიების, მიღებისა და გავრცელების სამართლებრივი მექანიზმი.“ ასეთი კანონის არარსე-

ბობის გამო მოქალაქენი და მათ შორის ჟურნალისტებიც იძულებულნი არიან ეძებონ ცალკეული დებულებანი სხვადასხვა ნორმატიულ აქტში, რაც არცთუ ისე ადვილია.

ჟურნალისტი უფლებამოსილია ინფორმაციის მფლობელს დაუხაზუთოს ინფორმაციის მიღების აუცილებლობა, თუმცა ეს მისი მოვალეობა არ არის. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, პირი არ არის ვალდებული, განცხადებაში მიუთითოს ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი ან მიზანი. ეს ნესი, უპირველეს ყოვლისა, ეხება ჟურნალისტს, რომლისთვისაც ინფორმაციის მიღება და გავრცელება ყოველდღიური საქმიანობაა.

ჟურნალისტს უფლება აქვს, ინფორმაცია მიიღოს ნებისმიერი ფორმით, როგორც ზეპირად, ისე წერილობით. ეს იმას ნიშნავს, რომ ჟურნალისტის ზეპირი მიმართვა, მაგალითად, მინისტრისადმი – მისცეს ინტერვიუ, სხვა არაფერია, თუ არა ინფორმაციის მოთხოვნა ზეპირი ფორმით. ჟურნალისტის შეკითხვაზე პასუხი იმ პირის მიერ, ვისაც მიმართეს ინტერვიუსთვის, უნდა განვიხილოთ როგორც პასუხი ინფორმაციის მოთხოვნაზე. ეს თეზისი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ ჟურნალისტს პასუხისმგებლობა არ ეკისრება იმ ინფორმაციის შინაარსისთვის, რომელიც მიღებულია ინფორმაციის მოთხოვნის პასუხად.

მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს ინფორმაციის მოთხოვნაზე რეაგირების ოთხ ვარიანტს: 1) ინფორმაციის მიწოდ-

